პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 31 იანვარი, 1952 წ. № 26 (9186). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

დავიცვათ და განვამტკიცოთ სოციალისტური საკუთრება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივისადმი (1-ლი გვერდი).
გავაჩაღოთ შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი (მე-2 გვერდი).
უმსგავსოებანი კვების მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიაში (მე-2 გვერდი).
მოსკოვმა უკანასკნელად გააცილა მარშალი ჩოიბალსანი (მე-3 გვერდი).
როგორ მოაწყეს თელეთელმა მექანიზატორებმა ... (მე-3 გვერდი).
კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი (მე-3 გვერდი).
საჭადრაკო ეტიუდის შესახებ (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო თემაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## დავიცვათ და განვამტკიცოთ სოციალისტური საკუთრება

საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ააშენა სოციალისტური საზოგადოება და ამჟამად წარმატებით ახორციელებს კომუნიზმზე გადასვლას. ამ მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს საბჭოთა წყობილების საფუძვლის — სოციალისტური საკუთრების დაცვასა და განმტკიცებას.

საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი — სტალინური კონსტიტუცია თვითეულ მოქალაქეს ავალებს გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო. ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას,—ნათქვამია შემდეგ კონსტიტუციაში, — ხალხის მტრები არიან.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა მუდამ უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ და კვლავ უთმობენ სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეს. საბჭოთა კანონების მთელი მახვილი მიმართულია პირველ რიგში საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთი ბოროტმოქმედებით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა წყობილებას.

„ჩვენი წყობილების საფუძველს, — გვასწავლის დიდი სტალინი, — წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება... საზოგადოებრივი, — სულ ერთია, იქნება ეს სახელმწიფოებრივი საკუთრება თუ კოოპერაციული ან საკოლმეურნეო საკუთრება, — ქურდობისა და მტაცებლობის დაშვება და ასეთ კონტრრევოლუციურ უმსგავსობათა უყურადღებოდ დატოვება — ნიშნავს ხელი შეუწყო საბჭოთა წყობილების ძირის გამოთხრას, იმ წყობილებისა, რომელიც ემყარება საზოგადოებრივ საკუთრებას, როგორც თავის ბაზას... **რევოლუციური კანონიერების ძირითადი საზრუნავი ჩვენს დროში არის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა და არა სხვა რამ.**

**აი ამიტომ ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ბრძოლა ყველა ღონისძიებითა და საშუალებით, როგორსაც კი გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები, — პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს“.**

მიუხედავად ჩატარებული სერიოზული მუშაობისა, ფაქტები მოწმობენ, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვის დარგში ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მიერ მიღებული ზომები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში კვლავ ვხვდებით სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული თანხების გაფლანგვა-განიავების, ქურდობისა და მტაცებლობის ფაქტებს; ფონდირებული მასალები და საშუალებები არადანიშნულებისამებრ იხარჯება, რაც სერიოზულად აფერხებს წარმოებისა თუ დაწესებულების წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას. სოციალისტური საკუთრების დაცვის დარგში განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში.

სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები იყო სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში, ბამბის ძაფსართავ ფაბრიკაში, „გლავნეფტესბიტის“ საქართველოს სამმართველოში და მის ბაზებში, ტრესტ „საქყველკარაქმრეწვის“ საწარმოებში, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელ ქარხანაში და მთელ რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებებში. სახელმწიფო ქონების დამტაცებლებმა და ქურდებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ამ საწარმოებს. ათიათასობით მანეთი გაანიავეს და მიისაკუთრეს კვების მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიაში მოკალათებულმა კომბინატორებმა, რომელთა უმსგავსო საქციელიც მხილებულია „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-მტაცებლობა მეტწილად ხდება იქ, სადაც ივიწყებენ მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა აღრიცხვას, რევიზიების ჩატარებას, არღვევენ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების სამუშაოზე მიღების კანონით დადგენილ წესს.

სოციალისტური საკუთრების დატაცება-გაფლანგვის წინააღმდეგ სუსტად იბრძვიან სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები. პირიქით, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოთა ზოგიერთი მახინჯი მუშაკი მექრთამეობით თვითონ უწყობდა ხელს ქურდებსა და მტაცებლებს, ამით სახელს უტეხდა საბჭოთა ორგანოებს. ჯერ კიდევ ადგილი აქვს სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებისადმი შემბრალებლობას და ლმობიერი განაჩენების გამოტანას. ეს ძირშივე მცდარი პრაქტიკა სასტიკად უნდა აღიკვეთოს. ამოცანა ის არის, რომ აღმოუჩენელი და დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი ბოროტმოქმედი, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ქონებას და ამით ზიანს აყენებს ჩვენს ქვეყანას.

მთელ რიგ დაწესებულებებსა და საწარმოებში სოციალისტური საკუთრების მტაცებლობა იმის შედეგიც არის, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო წარმატებებით გატაცების გამო, შეასუსტეს ყურადღება სახელმწიფო ორგანოებისადმი, რომლებიც მოწოდებული არიან იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, შეასუსტეს ყურადღება მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებისადმი.

ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანაა სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებისა და მექრთამეების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად უფრო მეტად გააძლიერონ მშრომელთა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მოაწყონ ქურდობისა და მტაცებლობის, მექრთამეობის — კაპიტალიზმის ამ მახინჯი ნაშთების საზოგადოებრივი გაკიცხვა. უამისოდ წარმოუდგენელია ამ სამარცხვინო და შეუწყნარებელ დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა. **სასამართლოს მკაცრი განაჩენის გარდა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — „საჭიროა სხვა ღონისძიება, უფრო საიმედო და უფრო სერიოზული. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ასეთი ქურდ-ბაცაცების ირგვლივ საერთო სოციალური ბოიკოტისა და გარშემო მყოფი საზოგადოების სიძულვილის ატმოსფერო. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ გაჩაღდეს ისეთი კამპანია და შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო მუშებსა და გლეხებს შორის, რომელიც მოსპობდა ქურდობის შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდიდა სახალხო დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდების ცხოვრებასა და არსებობას“.**

პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ამ დარგში იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცების საქმეში ჩაბმულ იქნან მშრომელთა მთელი მასები, მოსახლეობის ყველა ფენა. თვითეული პროპაგანდისტი, აგიტატორი, ყოველი კომუნისტი განუწყვეტლივ უნდა უნერგავდეს ხალხს სოციალისტური საკუთრებისათვის მზრუნველობის, საბჭოთა ქვეყნისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას.

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცების, საბჭოთა რევოლუციური კანონიერების განუხრელად გატარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბოლშევიკური პარტიის ბასრი იარაღის — კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას. პარტიული მუშაობისა და ჩვენი საბჭოთა აპარატის, სამეურნეო მშენებლობის ქვევიდან, მასების მხრივ შემოწმების ამ უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებას განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი წარმატებით ეწევა კომუნისტურ მშენებლობას. **კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების წინსვლის ერთ-ერთი მძლავრი პირობაა, იგი საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა კიდევ უფრო ფართოდ, უფრო ეფექტურად გამოიყენონ ჩვენი წინსვლის ეს მძლავრი საშუალება.**

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, გაფლანგვა-მტაცებლობისა და კაპიტალიზმის სხვა მახინჯი ნაშთების სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გადაჭრით გაძლიერება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასამართლო-პროკურატურის ორგანოთა უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

### ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21-ე ტომი რუმინულ ენაზე

**ბუქარესტი.** (საკდეს). რუმინეთის მუშათა პარტიის გამომცემლობამ 100 ათასი ცალი ტირაჟით გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21-ე ტომი.

ქ. მაგნიტოგორსკი

## მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი

**კომბინატის დირექტორს ამხანაგ ბორისოვს**
**კომბინატის მთავარ ინჟინერს ამხანაგ ვორონოვს**
**საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხანაგ სვეტლოვს**
**საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ პლისკანოვს**
**საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგს ამხანაგ პანკოვს**

მივესალმები და ვულოცავ მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატისა და ტრესტ „მაგნიტოსტროის“ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს კომბინატის — ჩვენი ქვეყნის მძლავრი მეტალურგიული ბაზის ამუშავების მეოცე წლისთავს.

მაგნიტოგორსკელები, როგორც ჩვენი სამშობლოს ერთგული შვილები, ყველა წელს პატიოსნად და თავდადებით შრომობდნენ კომბინატის საწარმოო სიმძლავრეთა შექმნაზე, წარმატებით ეუფლებოდნენ ახალ ტექნიკას, განუწყვეტლივ ადიდებდნენ ლითონის წარმოებას და ღირსეულად ასრულებდნენ ლითონით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ, ამხანაგებო, ახალ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

**ი. სტალინი**

## გავაჩაღოთ შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის

ამ დღეებში ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ყველა შახტსა და უბანში შედგა მეშახტეთა კრებები, რომლებზეც განხილულ იქნა გასული წლის მუშაობის შედეგები და დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი 1952 წელს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. მეშახტეებმა წინადადება წამოაყენეს 1952 წელს უფრო მეტი ძალით გაჩაღდეს ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ტყვარჩელელ და მოძმე დონბასელ მეშახტეებთან.

მეშახტეთა კრებებზე განხილულ და ერთხმად მიღებულ იქნა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივის წერილი საქართველოს ყველა მეშახტისადმი. თავიანთ წერილში ტყიბულელი მეშახტეები მოუწოდებენ — ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმის ვადამდე და მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის.

ეჭვი არ არის, საქართველოს მეშახტეები ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ტყიბულელ მეშახტეთა პატრიოტულ თაოსნობას.

### ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივის წერილი საქართველოს ყველა მეშახტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხმა, ბოლშევიკური პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ვადამდე შეასრულა სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის გეგმა, რითაც ერთხელ კიდევ ცხადყო მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდესი უპირატესობა, საბჭოთა წყობილების უშრეტი სასიცოცხლო ძალა, მშრომელთა თავდადება და მზადყოფნა გადალახონ ყველა დაბრკოლება კომუნიზმის გზაზე.

კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული დიდი წარმატებანი და მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მეშახტეთა გულს აღავსებს მხურვალე სიყვარულით დიდი საბჭოთა სამშობლოსადმი, რომელიც მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბურჯს წარმოადგენს.

ჩვენთვის საამაყო და სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ვცხოვრობთ და ვშრომობთ დიად სტალინურ ეპოქაში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვმუშაობთ სოციალისტური სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ გადამწყვეტ უბანზე და თავდადებული შრომით ჩვენი წვლილი შეგვაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლის აგებაში — დიად სტალინურ ნაგებობათა მშენებლობაში. მეშახტეები ყველა ჩვენს წარმატებას ვუმადლით მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

გასული წელი ქვანახშირის ამოღების მნიშვნელოვანი ზრდის წელი იყო. ტყიბულელმა მეშახტეებმა, საქართველოს ყველა მეშახტესთან ერთად, წარმატებით შეასრულეს ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობა, წლიური გეგმის გადამეტებით ქვეყანამ ათასობით ტონა ქვანახშირი მიიღო. ამ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ტყვარჩელელ და მოძმე დონბასელ მეშახტეებთან გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ჩვენს შახტებსა და უბნებში ბევრია მოწინავე, შრომაში თავდადებული ადამიანი, რომელთა სტახანოვური საქმეები ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. წარმოების ეს ნოვატორები არიან: შალვა ფურცხვანიძე, ივანე ორჯონიკიძე, სპირიდონ ლანჩავა, სიმონ ლაფერაძე (სტალინის სახელობის შახტი), დავით ქათამაძე, სილიბისტრო გვენეტაძე, ფ. კრასიკოვი, ა. გიორგაძე (ლენინის სახელობის შახტი), მიხეილ გალენჩუკი, ნიკოლოზ ბრუსილოვი (გელათის შახტი) და მრავალი სხვა. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმები და უფრო მეტი თავდადებით მუშაობენ 1952 წელს.

1952 წელს საქართველოს მეშახტეთა წინაშე დასახულია ახალი, გადიდებული ამოცანები. ჩვენ არა მარტო უნდა გავზარდოთ ქვანახშირის ამოღება, არამედ შემდგომ უნდა ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, გავაუმჯობესოთ ქვანახშირის ხარისხი, უფრო სრულყოფილად ავითვისოთ მძლავრი საბჭოთა ტექნიკა, გამოვავლინოთ ახალი შიდასაწარმოო რეზერვები. ამ ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ბოლომდე აღმოვფხვრით ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. გასულ წელს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ის იყო, რომ ზოგიერთმა შახტმა და უბანმა ვერ შეასრულა ქვანახშირის ამოღების გეგმა. ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული ჩვენი პატრიოტული მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე და ბოლშევიკური ენერგიით ვიბრძოლებთ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ჩვენ, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის შახტების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, მეშახტეთა კრებებზე ერთხმად გადავწყვიტეთ ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ახალი ძალით გავაჩაღოთ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს ტყვარჩელელ ძმებთან და ვკისრულობთ შემდეგ კონკრეტულ ვალდებულებებს:

მივცეთ ქვეყანას 1952 წლის გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი;

ჰიდრავლიკური ჯების მეთოდი, რომელიც დღემდე მხოლოდ სტალინის სახელობის შახტშია განხორციელებული, მიმდინარე წელს დავნერგოთ ლენინის სახელობისა და მოლოტოვის სახელობის შახტებშიც, რითაც მივაღწიოთ ქვანახშირის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას;

მასალების მომჭირნეობით ხარჯვისა და სხვა ნოვატორულ ღონისძიებათა განხორციელებით შევამციროთ ქვანახშირის თვითღირებულება და სახელმწიფოს მივცეთ ერთი მილიონი მანეთი მოგება;

გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გავზარდოთ 3 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის ხარისხი გავაუმჯობესოთ 0,5 პროცენტით;

ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გაყვანის 1952 წლის გეგმა შევასრულოთ 105 პროცენტით;

სამთო-სამრეწველო სკოლის კურსდამთავრებულ მოსწავლეთათვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სანიმუშოდ მოვაწყოთ ახალგაზრდა მეშახტეთა არსებული 5 საერთო საცხოვრებელი სახლი.

ამხანაგებო! ვაჩაღებთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას ტყვარჩელელებთან, მოწოდებით მოგმართავთ საქართველოს ყველა მეშახტეს:

— კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, უნარიანად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და მთელი რეზერვები, სრული სიმძლავრით ავითვისოთ მოწინავე საბჭოთა ტექნიკა, რომლითაც სამშობლო უხვად ამარაგებს მეშახტეებს, უზრუნველვყოთ გეგმის ყოველდღიური შესრულება ყველა შახტში, უბანსა და ბრიგადაში, სასახელოდ გავანაღდოთ დიდი სტალინის მიერ საბჭოთა მეშახტეებისათვის დასახული ამოცანა: უახლოესი სამი ხუთწლედის განმავლობაში ქვანახშირის წლიური ამოღება აყვანილი იქნას 500 მილიონ ტონამდე.

ჩვენ, ტყიბულელი მეშახტეები, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო და ღირსეულად შევასრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ საპატიო ამოცანას — მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი მივცეთ ჩვენს მრეწველობას.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა მეშახტეების საუკეთესო მეგობარსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

### ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების მე-100 წლისთავისათვის

**კიშინიოვი.** მოლდავეთის ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს მზადება დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების მე-100 წლისთავისათვის. გაიმართა მოლდავეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა გოგოლის დღეების მოწყობის ღონისძიებანი. პროფკავშირული ორგანიზაციები ახლა მუშებისათვის აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, გამართება ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებების წამკითხველთა კონკურსები.

ბევრი რაიონული ცენტრის ბიბლიოთეკებში გაიხსნა ნ. ვ. გოგოლისადმი მიძღვნილი გამოფენები.

**კრივოი როგი.** კრივოი როგის რკინის მადნის აუზის საწარმოებში ემზადებიან დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების მე-100 წლისთავისათვის. შექმნილია საქალაქო, მაღაროებისა და საქარხნო კომისიები. მაღაროელთა მხატვრული თვითმოქმედება ამზადებს მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოებს.

კომინტერნის სახელობის მაღაროს კულტურის სასახლის დრამატულ, მომღერალთა და მოცეკვავეთა წრეების ასზე მეტი წევრი იღებს მონაწილეობას სპექტაკლ „მაისის ღამის“ მომზადებაში. კრივოი როგის დრამატული თეატრის კოლექტივი შეუდგა მუშაობას „რევიზორის“ დასადგმელად.

29 იანვარი. (საკდეს).

საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის შესახვედრად

### შეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა მაღალნაყოფიერი მუშაობა გაჩაღეს საბჭოთა არმიის 34-ე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის აღსანიშნავად. საწარმოებსა, საამქროებსა და სტახანოველთა შორის ახალი ძალით ჩაღდება შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ერთი კვირით ადრე შეასრულოს იანვარ-თებერვლის გეგმა და დამატებით გამოუშვას ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

მკერავები საქმით ანაღდებენ ამ ვალდებულებას. ცნობილი სტახანოველები ვ. ზვიადაძე, ც. ყიფიანი და ქ. ასათიანი დღიურ ნორმებს 20-30 პროცენტით აჭარბებენ. ამასთანავე მათ მიერ შეკერილი ტანსაცმელი თითქმის მთლიანად უმაღლესი ხარისხისაა.

მანქანათმშენებელ ქარხანაში სახელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი შეჯიბრება დაიწყო კომუნიზმის მშენებლობებისათვის დაკვეთების ვადამდე შესრულებით. მანქანათმშენებლებმა იანვრის პირველ ნახევარში უკვე დაამზადეს 18 წყალსატუმბავი, რომლებსაც ამ დღეებში გაუგზავნიან დიად მშენებლობათა კოლექტივებს. ქარხნის საამქროებში ერთი წუთითაც არ წყდება მაღალნაყოფიერი შრომა წყალსატუმბავების მეტი რაოდენობით გამოშვებისათვის. მექანიკურ-ამწყობ საამქროში, სადაც ძირითადად აღნიშნული პროდუქცია მზადდება, განსაკუთრებული ენთუზიაზმია. სტახანოველები რამდენჯერმე აჭარბებენ გეგმებს.

მძლავრი აღმავლობაა რკინიგზის კვანძზეც. საელმავლო დეპოში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ელმავლების სადღეღამისო გარბენის დავალების წარმატებით შესრულებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების ზუსტად დაცვის უზრუნველსაყოფად. როგორც მეელმავლეებმა, ისე დეპოს საამქროთა სტახანოველებმა ისტორიული თარიღების შესახვედრად ახალი ენერგიით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება.

### ორი თვის გეგმა— 23 თებერვლისათვის

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი ყოველდღიურ საწარმოო დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. შეჯიბრებაში ყველაზე წინ მიდის შემფუთავი საამქროს საუკეთესო ხარისხის ბრიგადა, რომელსაც ანა ნოგაი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ გეგმას 140-150 პროცენტით ასრულებს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. მაღალ მაჩვენებლებს აღწევს აგრეთვე მემანქანეთა ბრიგადა, რომელსაც ალექსანდრა ბაქანიძე ხელმძღვანელობს. შრომის სწორი ორგანიზაციითა და მანქანების წარმადობის ზრდის საფუძველზე ბრიგადამ 25 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება და მთლიანად აღმოფხვრა წუნი მუშაობაში.

ფაბრიკის ბრიგადებსა და ცვლებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის შესახვედრად. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ორი თვის გეგმა ვადამდე—23 თებერვლისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 250 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვას.

### ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის წარმატება

**ბოლნისი.** (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა 160 პროცენტით შეასრულა გასული წლის გეგმა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და შემცირდა თვითღირებულება. კარგად იმუშავეს ავეჯისა და ხე-ტყის დამმუშავებელმა წარმოებამ, ფეხსაცმლის, სამკერვალო, სათუნუქე, სამჭედლო-სადურგლო საამქროებმა და წისქვილების მეურნეობამ.

კომბინატის საამქროები ნაყოფიერად მუშაობენ წელსაც. იანვრის ორ დეკადაში მათ თვიური გეგმა 90 პროცენტით შეასრულეს. მეავეჯეები შ. თევდორაშვილი, ლ. კულდანაშვილი და გ. აბრამიანი, მეთუნუქე გ. თეიმურაზოვი და მჭედელი ვ. კანანოვი გამომუშავების ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის აღსანიშნავად კომბინატის კოლექტივმა იკისრა პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა ორ თვეში შეასრულოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი. რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. მ. მაღრაძემ.

— რაიონის მრეწველობისა და ტრანსპორტის მთელმა რიგმა საწარმოებმა, — თქვა მან, — სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, წარმოების ტექნიკის სისტემატური გაუმჯობესებით, შინაგანი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო დავალებები. 1951 წელს რაიონმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა 107 პროცენტით, გასული წლის მარტო 6 თვეში რაიონის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით 21.732 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, ზუსტი ხელსაწყოების, შამპანური ღვინის და პლასტმასის ქარხნების, ჩაის საწონი ფაბრიკის, საორთქლმავლო და საელმავლო დეპოების კოლექტივებმა შრომის ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი.

სამეურნეო წარმატებანი იმითაც არის მოპოვებული, რომ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. მთელ რიგ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები კარგად ახორციელებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლს.

მიღწევებთან ერთად მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ლოკომოტივშემკეთებელი და ლითონკონსტრუქციის ქარხნების, სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს მეხუთე კანტორის, ძაფსართავი ფაბრიკისა და სხვა საწარმოების კოლექტივებმა ვერ შეასრულეს გასული წლის სახელმწიფო დავალებანი. ცუდად მუშაობენ აღნიშნული საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

— მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში სერიოზული ნაკლოვანებანი, — განაგრძობს მომხსენებელი, — იმითაც უნდა აიხსნას, რომ რაიკომი ყოველთვის ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

მომხსენებელი შეეხო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებებს, აღნიშნა, რომ ბევრგან პირველადი პარტიული ორგანიზაციები ქმედითად არ იბრძვიან სოციალისტური საკუთრებისა და საბჭოთა კანონიერების დაცვისათვის.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ჭკუასელმა, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსმა დ. მამაცაშვილმა, ქარხანა „დაზგის“ დირექტორმა ა. ბოკერიამ, ქალთა მე-19 საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ქურიძემ, საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანმა ვ. გაბუნიამ, კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორის მოადგილემ რ. ჟღენტმა.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო პლენუმმა ამხ. მ. მაღრაძე გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. პ. გილაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. დ. ჭანკაია, მდივნად — ამხ. კ. გოგლიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

## თათბირი კედლის პრესის მუშაობის საკითხზე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა მოაწყო კედლის გაზეთების რედაქტორებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი. მოხსენება თემაზე — კედლის გაზეთების მორიგი ამოცანები სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ქვანიამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ნ. გოგლიძემ (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), კ. ფალავამ (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ო. კვირკველიამ (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი), ი. მოსაშვილმა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), დ. მოსელიანმა (ზოოვეტერინარული ინსტიტუტი), ე. კუხიანიძემ (№ 3 პურის ქარხანა), თ. ჯაფარიძემ (ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა), დ. ბაკურაძემ (სამტრესტი), ნ. ბერძენიშვილმა (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამღებრო-გამომყვანი საამქროს კედლის გაზეთის რედაქტორი) და სხვებმა.

როგორც მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რაიონის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საწარმო-დაწესებულებათა ბევრი კედლის გაზეთი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში და მთელ რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებებში კედლის გაზეთები იშვიათად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, ზოგან (სპეციალური სამკურნალო კომბინატი, საშაქარლამო ფაბრიკა, ლიქიორისა და ვაკის აგურის ქარხნები) სრულებით არ იცავენ გაზეთის გამოსვლის პერიოდულობას. კედლის გაზეთი ზოგჯერ 2-3 თვეში ერთხელ გამოდის. სრულ უმოქმედობას იჩენენ რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების კედლის გაზეთები. ისინი სრულებით არ იბრძვიან სახელმწიფო ვაჭრობის წესების დამრღვევთა, გამფლანგველთა და წამგლეჯთა წინააღმდეგ.

კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების სუსტი მუშაობა, როგორც თათბირზე აღინიშნა, რაიკომის არასაკმაო დახმარებითაც აიხსნება. პარტიის რაიონული კომიტეტი არ აწყობს კედლის გაზეთების რედაქტორების, კორესპონდენტებისა და აქტივის თათბირებს.

თათბირმა კედლის გაზეთების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი.

თბილისის ახალმშენებლობებზე

## კიდევ ერთი ახალი ხიდი

თბილისში უმაგალითო მასშტაბით გაშლილ ახალ სამშენებლო სამუშაოებს უკვე რამდენიმე თვეა, რაც დიღმის ხიდის მშენებლობაც მიემატა.

დიდუბეში მდინარე მტკვარზე დიდი ხიდის აგების საკითხი დაკავშირებულია ჩვენი დედაქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესრულების მიმდინარეობასთან. თბილისი სწრაფად მზარდი ქალაქია. მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების საერთო გაუმჯობესებამ აამაღლა მოსახლეობის კეთილდღეობა. ამან გამოიწვია მოსახლეობის ზრდა, ქალაქის ახალი უბნების გაშენება.

დიღმის ყოფილი ველი, რომელიც ახლა ხეივნებიან ბაღნარად არის გადაქცეული, ქალაქის ზრდის თვალსაზრისით თბილისის ყველაზე მეტად პერსპექტიულ რაიონს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ცენტრალურ უბნებს დღემდე ეს რაიონი მოწყვეტილი იყო, იქ კანტიკუნტად მაინც გაჩნდა მოსახლეობა. ცხადია, ამ უბანს უფრო მეტი მცხოვრებნი მიემატებიან, თუ იგი ქალაქის სხვა უბნებთან დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო მაგისტრალით.

დიდუბისა და დიღმის ყოფილი ველის ხიდით დაკავშირება საჭიროა ბევრი მოსაზრებით. ამჟამად მცხეთის გზატკეცილი ქალაქის მახლობელ ყველა გზატკეცილთა შორის მეტად გადატვირთულია ავტოტრანსპორტით. დიღმის ხიდის აგებით მცხეთის მიმართულებით მიმავალ და იქიდან მომავალი ავტოტრანსპორტით საგრძნობლად განიტვირთება და საქართველოს სამხედრო გზატკეცილი უმოკლესი მანძილით დაუკავშირდება დედაქალაქს.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო გასულ წელს დაიწყო დიღმის ახალი ხიდის მშენებლობა. ეს ხიდი, რომლის პროექტიც ეკუთვნის ინჟინერ კ. დოთიძეს, ხოლო არქიტექტურული გაფორმება — სტალინური პრემიის ლაურეატს არქიტექტორ ა. ქურდიანს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონუმენტური ნაგებობა იქნება თბილისის სხვა ხიდებს შორის ხიდის სიგრძე-სიგანე ისეა გათვალისწინებული, რომ მან შეძლოს ერთდროულად ორივე მიმართულებით საქალაქო ტრანსპორტის მრავალ ნაკადად გატარება. ეს ხიდი მომავალში უმოკლესი მანძილით დააკავშირებს დიდუბე-ღრმაღელეს სამრეწველო რაიონს დიღმის საცხოვრებელ რაიონთან.

გასული წლის სამშენებლო გეგმა ხიდის მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს. დაამთავრეს სამი საყრდენის ამოყვანა, შეასრულეს 6.000 კუბმეტრი ბეტონის სამუშაო, გაიყვანეს სანიაღვრე კოლექტორები ხიდის მარჯვენა მხარეზე და შეუდგნენ მუშაობას ხიდის შემდგომი საყრდენის ამოსაყვანად.

ახლა მშენებლები იჩქარიან მთელ რიგ სამუშაოთა მოთავებას იმისათვის, რომ გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობას სავსებით მომზადებული შეხვდნენ.

ხიდის მშენებელთა შორის (მშენებლობის ხელმძღვანელი ინჟინერი შ. შალიკაშვილი) ბეჯითი, მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან მ. მაისტრენკოს ბრიგადა და ოსტატ ი. ლომიძესთან მომუშავენი. კარგად ხელმძღვანელობენ მშენებლებს სამუშაოთა მწარმოებელი ა. ჯვებაძე და ტექნიკოსი ბ. ენუქიძე.

ხიდის მოწინავე მშენებლებმა პირობა დადეს მიმდინარე წლის ბოლოსათვის მთლიანად დაამთავრონ ამ ხიდის აგება, უზრუნველყონ ხიდზე მოძრაობის გახსნა და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს დედაქალაქის შემდგომი გამშვენიერება-კეთილმოწყობის საქმეში.

ლ. სარჯველაძე



თბილისი. საელმავლო დეპო. ელექტრო-სამანქანო საამქროს სტახანოველები (მარცხნიდან მარჯვნივ) ელექტროგადამხვევი დ. მარმარაშვილი, ელექტრო-ზეინკლები ფ. ტარანუშიჩი და ი. ბატკუაშვილი მუშაობენ ძრავების აწყობასა და გადახვევაზე და გამომუშავების ნორმებს 200-400 პროცენტით ასრულებენ.

## კომკავშირელ მეელმავლეთა ბრიგადების შეჯიბრება

ხაშური. (საკ. კორ.). საელმავლო დეპოს კოლექტივმა ახალი საწარმოო მიღწევები მოიპოვა მიმდინარე წლის იანვარში — მეელმავლეებმა ამ თვის დავალება 24 რიცხვისათვის გაანაღდეს.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ახალგაზრდა მეელმავლეებიც. № 22-493 ელმავლის კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც უფროსი მემანქანე ილია ლაბაძე ხელმძღვანელობს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება თბილისის საელმავლო დეპოს ელმავალ № 22-416-ის კომკავშირულ ბრიგადასთან, რომელსაც უფროსი მემანქანე ოთარ ბოგვერაძე ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდა მეელმავლეებმა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებანი. მათ, საამქროს დაუხმარებლად, საკუთარი ძალებით 23 იანვრისათვის პერიოდული შეკეთებიდან გამოუშვეს ერთი ელმავალი და მნიშვნელოვნად შეამცირეს შეკეთებაში ელმავლის დგომის დრო.

## იზრდება კოლმეურნეობათა შემოსავალი

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). სოფელ ჭაბუკიანის ილია ჭავჭავაძის სახელობის გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ მოაწყო აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელმაც შარშან გამოუშვა 98.000 ცალი კრამიტი, 110.000 ცალი აგური. აქედან მიღებულია 150.000 მანეთი შემოსავალი. კოლმეურნეობაში დამზადებული აგურით, კირით და კრამიტით კოლმეურნეები იშენებენ სახლებს, კოლმეურნეობა კი წელს აშენებს დიდ საწყობს და თორმეტოთახიან კანტორას.

კოლმეურნეობაში მუშაობს სახერხი ქარხანა. წინათ კოლმეურნეობას თვითეული კუბმეტრი ხე-ტყის დახერხვა 200 მანეთი უჯდებოდა. მარტო შარშან ქარხანამ დახერხა 800 კუბმეტრი ხე-ტყე.

აგურისა და კრამიტის დამზადებაში თავი გამოიჩინეს კოლმეურნე სპეციალისტებმა დ. ჭუმბურიძემ, ს. კვიციანიძემ და გ. კველიშვილმა. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიის სახით თვითეულმა 3.000 ცალი კრამიტი მიიღო.

დიდი მშენებლობაა გაშლილი ლელიანის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში. უკვე ააგეს დიდი ტევადობის საწყობი და ხორბლის საშრობი ფარდული. ახლა კოლმეურნეობა აშენებს საწყობს, ფარდულს, რამდენიმე სასიმინდეს და საკოლმეურნეო კანტორის ახალ შენობას.

## ტრაქტორების რემონტი მთავრდება

დუშეთი. (საკ. კორ.). მტს-ის მექანიზატორები წარმატებით მუშაობენ ტრაქტორებისა და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის ვადაზე ადრე დასამთავრებლად.

მტს-მა წელს უნდა შეაკეთოს 35 ტრაქტორი. აქედან უკვე შეკეთებულია 29. შეკეთებულია აგრეთვე 17 გუთანი, 14 სათესი მანქანა, 7 კულტივატორი და 2 კომბაინი.

ტრაქტორების რემონტში თავი ისახელეს პირველმა, მეოთხე და მეხუთე სატრაქტორო ბრიგადებმა, რომელთაც ს. სანაშვილი, გ. რაზმაძე და გ. სანაშვილი ხელმძღვანელობენ. ენერგიულად იმუშავეს ტრაქტორისტებმა გ. სანაშვილმა, ფ. ბანცურმა, ზ. დურგლიშვილმა, ი. ბექაურმა, ი. ჯავახიშვილმა, დ. მახარაშვილმა და სხვებმა.

დავალებები მაღალხარისხოვნად შეასრულეს მჭედლმა ა. ბრაჭულმა, ხარატმა ნ. ბულაურმა, შემდუღებელმა ა. ღარიბაშვილმა, ამწყობმა გ. გოლოშვილმა, მექანიკოსებმა ნ. მთვარელიშვილმა, ვლ. თინიკაშვილმა და ვ. ჩანადირმა.

## უმსგავსოებანი ქვების მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიაში

საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიის დირექტორი ვ. დოლიძე, ინჟინერ-მექანიკოსი პ. ნეიგებაუერი, მთავარი ბუხჰალტერი ი. მინასიანი და მათთან დაკავშირებული პირები — ლ. შტიპელი, ს. მარტასოვი, ა. სერიხი, ა. ლონგურაშვილი და სხვები წლების განმავლობაში უხეშად არღვევდნენ საფინანსო დისციპლინას, აწყობდნენ კომბინაციებს, ადგენდნენ სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოთა გაბერილ ხარჯთაღრიცხვებს, ანიავებდნენ და ითვისებდნენ სახელმწიფო თანხებს.

1950 წლის 4 აპრილს ლითოგრაფიის დირექტორმა ვ. დოლიძემ შრომითი ხელშეკრულება დადო ვინმე ლ. შტიპელთან სავენტილაციო დანადგარის და აგურის ღუმელის კაპიტალური შეკეთების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოთა დეფექტური აქტი წინასწარ არ შეუდგენიათ. ხარჯთაღრიცხვა შეადგინა თვით სამუშაოთა მონარდე მწარმოებელმა შტიპელმა, რომელმაც გამორჩენის მიზნით განგებ 9.425 მანეთამდე გაზარდა სამუშაოთა ღირებულება და მარტო ხელფასის სახით 6 ათასი მანეთი მიიღო. ეს მაშინ, როცა შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება სინამდვილეში 1.800 მანეთს არ აღემატება, ხელფასად კი შემსრულებელს მხოლოდ 500 მანეთი ერგებოდა.

იმავე წლის აპრილში გაცემულ იქნა 1.500 მანეთი თითქოს მოსავარაყებელი ხელის წნეხის შეკეთებისათვის. ფაქტიურად ეს წნეხი არავის შეუკეთებია. ლითოგრაფიაში ინახება ყალბი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ამ წნეხის შეკეთების თაობაზე თითქოს დადებულ იქნა ლითოგრაფიის დირექტორ ვ. დოლიძესა და ვინმე ლ. კეშიშოვს შორის. კეშიშოვმა განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება მას არ დაუდვია, ინჟინერ-მექანიკოს პ. ნეიგებაუერის თხოვნით მან მხოლოდ ხელი მოაწერა 1.500 მანეთის მიღების უწყისს, ფული კი არ მიუღია.

1950 წლის ივნისში ლ. შტიპელს მიეცა 3 ათასი მანეთი საწყობის კარის ჩამოღების, მის ადგილზე აგურის კედლის ამოყვანის, არსებული ფანჯრის ადგილზე ძველი კარის ჩასმისა და საწყობში ჩასასვლელი კიბის 2 საფეხურის გაკეთებისათვის. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა მოქმედი ნორმებით ამ სამუშაოთა შესრულებისათვის ხელფასად შტიპელს მხოლოდ 265 მანეთი ერგებოდა. შტიპელმა საცხოვრებელი სახლის დამატებითი შეკეთებისას უკანონოდ მიითვისა 1.400 მანეთი.

1950 წლის სექტემბერში ლითოგრაფიის შენობის თუნუქის სახურავის შეღებვაზე 20.651 მანეთი დაიხარჯა. ამ სამუშაოს ნამდვილი ღირებულება კი 9.374 მანეთს შეადგენს. სამუშაოს შემსრულებელ მღებავთა ბრიგადას, რომელსაც ი. ეროშენკო მეთაურობდა, ხელფასი 2.625 მანეთი ერგებოდა, ლითოგრაფიის დირექციამ კი რატომღაც 11.744 მანეთი გადაუხადა. ა. ლონგურაშვილის მემონტაჟეთა ბრიგადამ 3 კაცის შემადგენლობით 5 დღე იმუშავა ორსაღებავიან ოფსეტ-მანქანის დემონტაჟზე. დემონტაჟის მოქმედი ნორმებით შესრულებულ სამუშაოსათვის ბრიგადას ხელფასი 346 მანეთი ერგებოდა, სინამდვილეში გაცემულ იქნა 5.500 მანეთი.

ხარჯთაღრიცხვით № 4 ბრტყელი საბეჭდი მანქანის კაპიტალური შეკეთებისათვის ხელფასი გათვალისწინებული იყო 10.042 მანეთი. ფაქტიურად ამ სამუშაოს შესრულებისათვის ლითოგრაფიის დირექციამ ვინმე ა. სერიხის ბრიგადას 21.379 მანეთი გადაუხადა. ამ თანხიდან 5.190 მანეთი მიეცა საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროს ინჟინერს გ. კოვშოვს, რომელსაც მანქანის შეკეთებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. იგი მხოლოდ შეკეთებული მანქანის მიმღებ კომისიაში მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ლითოგრაფიის მუშებმა მექანიკოს სკრიპალოვის ხელმძღვანელობით ასეთივე საბეჭდი მანქანა (№ 7) უფრო იაფად, უკეთესი ხარისხით და გაცილებით ნაკლებ დროში შეაკეთეს. ლითოგრაფიის მუშებმა № 4 მანქანის შეკეთების სურვილიც გამოთქვეს, მაგრამ ვ. დოლიძემ გარკვეული მოსაზრებით გარეშე პირების მოწვევა ამჯობინა. ცხადია, ამ შემთხვევაში მას სახელმწიფო თანხების მითვისების სურვილი ამოქმედებდა.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. 1951 წელს ლითოგრაფიაში მოკალათებულმა კომბინატორებმა უფრო გააფართოვეს თავიანთი საქმიანობის ჰორიზონტი. საჭირო იყო ლითოგრაფიის შენობის სახურავის ნივნივების შეღებვა ცეცხლგამძლე მინის ხსნარით. ამ სამუშაოს შესრულება თავისუფლად შეეძლო მღებავ კ. შახკომიანს, რომელიც ამ თანამდებობისათვის ლითოგრაფიიდან ყოველთვიურად 800 მანეთს იღებს. მაგრამ მაშინ რა გამორჩენა ექნებოდათ კომბინატორებს! ამიტომ ლითოგრაფიის დირექტორმა ვ. დოლიძემ კვლავ ჩვეულ ხერხს მიმართა. მან მიიწვია უკვე საკმაოდ ცნობილი, კომბინაციებში გაქნილი ლ. შტიპელი და დადო მასთან ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადების წინ ლითოგრაფიის ინჟინერ-მექანიკოსმა პ. ნეიგებაუერმა, სახანძრო დაცვის უფროსმა ი. ჩამანიანმა და თვით მენარდე სამუშაოთა მწარმოებელმა ლ. შტიპელმა შეადგინეს ნივნივების შეღებვის სამუშაოთა დეფექტური აქტი. აქტში წინასწარი განზრახვით გაადიდეს სამუშაოთა მოცულობა, უჩვენეს, თითქოს შესაღებავი ნივნივების საერთო ფართობი 7.200 კვადრატულ მეტრს შეადგენდა. ასეთი ხრიკებით ლ. შტიპელმა ლითოგრაფიიდან ნივნივების შეღებვისათვის 11.500 მანეთის მიღება მოახერხა. შემოწმებისას გამოვლინდა, რომ შეღებილი ნივნივების საერთო ფართობი 3.451 კვადრატულ მეტრს შეადგენს და შტიპელის ბრიგადისათვის გაწეული შრომის საფასურად მხოლოდ 2.210 მანეთი უნდა მიეცათ.

1950 წელს ლითოგრაფიის დირექციამ შეიძინა სატელეფონო კომუტატორი. ლითოგრაფიის ელექტრომონტიორმა ლ. ანდოიანმა დირექტორ ვ. დოლიძეს 3 ათასი მანეთი მოსთხოვა კომუტატორის დასამონტაჟებლად, უკანასკნელმა კი მხოლოდ 800 მანეთი შეაძლია. ამის გამო ვერ შეთანხმდნენ. გავიდა ხანი და 1951 წლის 5 მაისს სატელეფონო კომუტატორის დამონტაჟებაზე ვ. დოლიძემ ხელშეკრულება დადო თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ იმავე დღეს იმავე სამუშაოთა შესრულებაზე დოლიძემ მეორე ხელშეკრულება გააფორმა ვინმე ს. მარტასოვთან. 13 დღის შემდეგ ლითოგრაფიის დირექციამ სათანადო სახსრების უქონლობის მომიზეზებით, გააუქმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან დადებული ხელშეკრულება, ხოლო იმავე დროს ს. მარტასოვს დავალება მისცა მუშაობას შესდგომოდა. ს. მარტასოვმა დაიქირავა ლითოგრაფიის ელექტრომონტიორი ლ. ანდოიანი და მას შეასრულებინა ძირითადი სამონტაჟო სამუშაოები. ასეთი ხრიკებით კომბინატორებმა ხელი მოითბეს, ხოლო წარმოებას სატელეფონო კომუტატორის დამონტაჟება 3 ათასი მანეთის ნაცვლად 12 ათასი მანეთი დაუჯდა.

ლითოგრაფიაში დასამონტაჟებელი იყო ორსაღებავიანი ოფსეტ-მანქანა. დირექტორმა დოლიძემ მოიწვია კერძო პირი, ინჟინერი გ. ფოჩხიძე, დაავალა შეედგინა ხარჯთაღრიცხვა და დაუდო შრომითი ხელშეკრულება. იმ მოტივით, თითქოს საბეჭდი მანქანების მონტაჟის ნორმები არ არსებობდეს, ინჟინერმა ფოჩხიძემ ხარჯთაღრიცხვა შეადგინა ანალოგიით, რითაც ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურად გაზარდა. სამინისტროს ტექნიკური ექსპერტიზის ბიურომ უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და ეს ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა. ამის შემდეგ ბოროტმოქმედებს გზა გახსნილი ჰქონდათ. ვ. დოლიძემ ხალისით გასცა ინჟინერ ფოჩხიძეზე 17.250 მანეთი. ეს მაშინ, როცა უკანასკნელს მხოლოდ 3.057 მანეთი ერგებოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ უკმაყოფილო არ დარჩებოდა დირექტორი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლითოგრაფიის დირექციამ სამრეწველო ბანკში ყალბი გეგმა წარადგინა, თითქოს მანქანის მონტაჟს თავისი შტატის მუშებით ასრულებდა. ამით თავი დააღწია ბანკის კონტროლს და შეძლო მთელი თანხის შეუფერხებლად გამოტანა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისათვის ლითოგრაფიის დირექციამ სხვადასხვა პირებზე უკანონოდ გასცა 58.935 მანეთი.

1951 წლის ივნისში საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროში შევიდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ლითოგრაფიაში მოკალათებული კომბინატორებისა და მათთან დაკავშირებული პირების ბნელი საქმეები. წერილში მოყვანილი ფაქტების შესასწავლად სამინისტრომ გამოჰყო კომისია უფროს ინსპექტორ ი. რამიშვილისა და ინჟინერ შ. თავამაიშვილის შემადგენლობით. ნაცვლად იმისა, რომ მიუდგომლად შეესწავლა ლითოგრაფიაში არსებული მდგომარეობა და მზის სინათლეზე გამოეტანა დანაშაულებრივი ფაქტები, კომისიამ მთელი თავისი ენერგია იმის გამოკვლევას შეალია, თუ ვინ დაწერა მამხილებელი წერილი. კომისიის „გულუბრყვილო“ წევრებმა ვერ დაინახეს, რომ ლითოგრაფიაში მოწყობილი ყველა კომბინაციის სულისჩამდგმელი და, მაშასადამე, მთავარი დამნაშავე თვითი ლითოგრაფიის დირექტორი ვ. დოლიძეა. მათ მხოლოდ წვრილფეხა დამნაშავეებს ჩაავლეს ხელი.

კომისიის ტენდენციურობას ისიც მოწმობს, რომ მოხსენებითს ბარათში, რომელიც მან საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს წარუდგინა, შეგნებულად დამახინჯებულია სინამდვილე, აღნიშნულია, თითქოს ნივნივების შეღებვის სამუშაოთა დეფექტური აქტის შედგენაში მონაწილეობას იღებდა წარმოების უფროსი მ. ვეფხვაძე, თითქოს ელექტრომონტიორ ლ. ანდოიანს არ შეეძლო სატელეფონო კომუტატორის სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება და სხვ.

სამინისტროს კომისიის პარალელურად ლითოგრაფიის მუშაობა შეამოწმა პარტიის ბერიას რაიკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ. რაიკომის კომისიამ გულდასმით შეისწავლა ლითოგრაფიის მუშაობა და გამოავლინა საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევები, სახელმწიფო თანხების განიავება-მითვისების აღმაშფოთებელი ფაქტები. სამწუხაროდ, რაიკომის ბიურომ, რომელმაც 1951 წლის 17 აგვისტოს განიხილა კომისიის მოხსენება, ლმობიერება გამოიჩინა, მთელი სისასტიკით არ დასაჯა დამნაშავენი და იმით დაკმაყოფილდა, რომ საქმე გადასცა ქვების მრეწველობის სამინისტროს სათანადო ზომების მისაღებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაიკომის ბიუროს ესწრებოდა საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. კ. ბახტაძე. მან მოითხოვა, რომ დამნაშავეთა საქმე რაიკომის ბიუროს პროკურატურისათვის კი არ გადაეცა, არამედ ქვების მრეწველობის სამინისტროში გადაეგზავნა „ზომების მისაღებად“.

გავიდა თვეები...

ქვების მრეწველობის სამინისტროში, ამხ. კ. ბახტაძესთან დღემდე ათასგვარ განმარტებებსა და დასკვნებს წერენ დამნაშავეთა გასამართლებლად და კომბინატორების პასუხისგებაში მიცემას აჭიანურებენ.

არ შეიძლება გულის წყრომა არ გამოიწვიოს ერთმა ფაქტმაც. პარტიის ბერიას რაიკომის ბიუროს დადგენილების შემდეგ სამინისტრომ თავის რევიზორ-ბუხჰალტერს ხ. მარტიროსოვს დაავალა მოეხდინა ლითოგრაფიის საფინანსო რევიზია. მარტიროსოვმა ორი თვის „მუშაობის“ შემდეგ გვერდი აუარა საფინანსო დისციპლინის იმ უხეშ დარღვევებს, რაც ლითოგრაფიაში ხდებოდა და შეადგინა აქტი, რომელშიც ნაჩვენებია, თითქოს ლითოგრაფიაში ყველაფერი რიგზეა, რომ ბუხჰალტერიაში ყველაფერი „აჟურშია“. ამით გათამამებულმა ლითოგრაფიის დირექტორმა ვ. დოლიძემ და მთავარმა ბუხჰალტერმა ი. მინასიანმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს, სამუშაოთა მონარდე მწარმოებლებს ს. მარტასოვსა და გ. ფოჩხიძეს მისცეს თანხა, რომლის გაცემა რაიკომის კომისიამ შეაჩერა და რომელიც მათ ფაქტიურად არ ერგებოდათ. აღსანიშნავია, რომ ინჟინერ ფოჩხიძის ბრიგადას 8.625 მანეთი 1951 წლის 31 დეკემბერს მიეცა მინისტრის მოადგილის ამხ. კ. ბახტაძის უკანონო განკარგულებით.

დროა ბოლო მოეღოს ამ უმსგავსოებას. კომბინატორები და მათი მფარველნი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

მ. აროშიძე
ა. გოცირიძე

## მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია

ბოლნისი. (საკ. კორ.). დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. მეძროხეობის ფერმაში მოაწყეს უხეში საკვების დამორთქლავი, ჭარხლის საჭრელი და კარტოფილის საფქვავი მანქანები, რომლებსაც ელექტრონით ამუშავებენ. მეღორეობის ფერმაში დადგმულია ჭარხლის სარეცხი და საკვების საჭრელი მანქანა.

მეცხოველეობის ფერმების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია წარმატებით მიმდინარეობს სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის და წითელი სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

## დამნაშავენი დასჯილნი არიან

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო „საქკოოპსათბობგასაღების“ ბათუმის კანტორის დირექტორის რ. ჯინჭარაძის დანაშაულებრივი მოქმედება. წერილში დასახელებული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა „საქკოოპსათბობგასაღების“ ბათუმის კანტორის დირექტორის რ. ჯინჭარაძის შესახებ შემოსული წერილების შემოწმების შედეგები. ამხ. რ. ჯინჭარაძე ტრაქტორისათვის განკუთვნილი ნავთის არადანიშნულებისამებრ გამოყენების, დირექტორის ფონდის უკანონოდ ხარჯვისა და სხვა დანაშაულისათვის მოიხსნა სამუშაოდან და გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

საწყობის გამგე ნ. ღლონტი მოხსნილია სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

საოლქო კომიტეტის ბიურომ კანტორის დირექტორს დაავალა სამუშაოდან მოხსნას ბაზის დაცვის უფროსი ტ. ფხაკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვმა უკანასკნელად გააცილა მარშალი ჩოიბალსანი

ჩვენი ქვეყნის მშრომელები მონღოლ ხალხთან ერთად გლოვობენ მონღოლი ხალხის სახელოვანი ბელადის, მონღოლეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს დაუცხრომელი მშენებლის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალებას.

მარშალ ჩოიბალსანის კუბოს წინ, რომელიც დასვენებულია კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიარა საბჭოთა დედაქალაქის ასი ათასზე მეტმა მოქალაქემ.

ამხანაგ ჩოიბალსანთან გამოთხოვების უკანასკნელ საათებში სვეტებიან დარბაზში მოიტანეს მრავალი ახალი გვირგვინი. მათ შორის — საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტროსაგან, გზათა სამინისტროს კოლეგიისაგან, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სტალინური პრემიების კომიტეტისაგან, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან, საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტისაგან, სტალინის სახელობის ავტოქარხნის კოლექტივისაგან, საბჭოთა მწერლებისაგან და სხვ.

...29 იანვრის დილის 7 საათია. დარბაზში გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. აქ არიან მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა აქტივი.

კუბოსთან არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ა. ე. ბოგომოლოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი.

კუბოსთან არიან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე შარაპი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იდამჟაბი, საელჩოს თანამშრომლები, განსვენებულის ნათესავები და მახლობლები.

სამგლოვიარო მელოდიების ხმებში მარშალ ჩოიბალსანის ცხედარი გამოასვენეს სვეტებიანი დარბაზიდან, სამგლოვიარო პროცესია ნელა მიდის თეატრალური გასასვლელით, კიროვის ქუჩით იაროსლავლის ვაგზლისაკენ.

ვაგზლის პერონი გაჩირაღდნებულია პროჟექტორებით. პერონზე ჩამწკრივებულია საპატიო სამხედრო ყარაული. დახრილია საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამგლოვიარო ლენტებშემოვლებული სახელმწიფო ალმები. სამგლოვიარო მარშის ხმებში პროცესია მიემართება სპეციალური მატარებლისაკენ. წინ მიაქვთ გვირგვინები. კუბოს მიჰყვებიან განსვენებულის ნათესავები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე შარაპი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი იდამჟაბი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წევრები, სსრ კავშირის მთავრობის წევრები, მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

მონღოლი ხალხის გამოჩენილი ბელადისა და საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის უკანასკნელად გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. მალიშევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი, გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ა. ნ. შაბანოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ვ. დ. სოკოლოვსკი, ლ. ა. გოვოროვი, გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. არტემიევი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ფ. კუზნეცოვი, მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

მარშალ ჩოიბალსანის ცხედარი ფრთხილად შეაქვთ ვაგონში. კუბოს ამკობენ გვირგვინებით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან...

დგება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. დილის რვა საათია. სამგლოვიარო მატარებელი წყნარად დაიძრა და შორეულ გზას გაუდგა.

საბჭოთა კავშირის ხალხები სამუდამოდ შეინახავენ მონღოლი ხალხის გამოჩენილი ბელადის, ჩვენი დიდი სამშობლოს ერთგული მეგობრის ამხანაგ ჩოიბალსანის ნათელ ხსოვნას.

ულან-ბატორს — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქს მარშალ ჩოიბალსანის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად სამგლოვიარო მატარებლით გაემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მ. პ. ტარასოვის, საბჭოთა კავშირის მარშალ ს. მ. ბუდიონის, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნის პ. ი. ლეონოვის, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ს. ცირემპილონის და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკის ი. კ. პრიხოდოვის შემადგენლობით.

მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ამჟამად ულან-ბატორს მყოფი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ი. ივანიკოვი.

ამავე მატარებლით გაემგზავრნენ: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე შარაპი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იდამჟაბი, განსვენებულის ნათესავები და მახლობლები. (საკდესი).

# კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი

ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი დიდი ხანი არ არის, რაც შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა, მაგრამ მოკლე დროის განმავლობაში შეძლო ფართო საზოგადოების ყურადღება და სიყვარული დაემსახურებინა.

ახალგაზრდა კომპოზიტორმა შექმნა მრავალი დიდი და მცირე ფორმის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, რომლებითაც ღირსეული ადგილი დაიკავა ქართველ კომპოზიტორთა შორის. გასულ წელს კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილს „ახალგაზრდული სიმფონიის“ შექმნისათვის სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მიენიჭა.

კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის შემოქმედება ძირითადად საბჭოთა ხალხის ცხოვრების აქტუალურ თემებს შეეხება. მისი ნაწარმოებები უშუალობითა და მღელვარე ახალგაზრდული მგზნებარებით გამოირჩევიან. ახალგაზრდა კომპოზიტორმა ახლახან დაამთავრა საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც სამართლიანად იპყრობს მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღებას. ამ ჟანრში დიდი ფორმის ნაწარმოების შექმნა ო. თაქთაქიშვილის პირველი ცდაა, რაც მან შესანიშნავად დაძლია.

კონცერტი ყურადღებას იპყრობს თავისი გულწრფელობით, მელოდიურობით, დინამიკურობით და ჯანსაღი ახალგაზრდული სულისკვეთებით. ავტორმა ფორმის მხრივაც გაბედული ნაბიჯი გადადგა. ნაცვლად ტრადიციულად არსებული სამნაწილიანი ფორმისა, მისი კონცერტი ოთხი ნაწილისაგან შედგება, რაც საფორტეპიანო ლიტერატურაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

კონცერტის პირველი ნაწილი მხნე და დინამიკურია. აქ კარგად არის დამუშავებული პირველი თემა, რომლის კულმინაციამდე განვითარების შემდეგ გვესმის კონტრასტულ-ლირიკული მეორე თემა.

მეორე ნაწილი „სკერცოა“, სადაც თემად ხალხური სიმღერა — „თებრონე მიდის წყალზედა“ არის გამოყენებული. ეს ნაწილი მსმენელის ყურადღებას იპყრობს თავისი გულწრფელობითა და უშუალობით. აქ შესანიშნავად არის გამოყენებული სიმებიანი ინსტრუმენტების ჯგუფი. სიმებზე ხელის ჩამოკვრით ქართული ხალხური საკრავის — ჩონგურის ხმოვანების იმიტაცია იქმნება, ამ ფონზე იშლება ფორტეპიანოს ლამაზი პარტია.

მესამე ნაწილი გაშლილ სიმღერას მოგვაგონებს. იგი წყნარი და დინჯი ხასიათისაა, რაც კონტრასტულად გამოიყურება წინა ნაწილებისაგან. ამავე დროს მასში მედიდურად ისმის შესავლის თემის ამაღლევებელი ინტონაციები.

მეოთხე ნაწილი ვარიაციულ ფორმას წარმოადგენს. აქ ავტორი ქმნის რამდენიმე წარმტაც ვარიაციას, რომლებიც მელოდიურ და ნაზ ტონებშია მოცემული. უკანასკნელი ვარიაცია მარშის რიტმში გვესმის, რომელიც საზეიმო ფინალით მთავრდება.

ნაწარმოებში დაცულია ფორმის მთლიანობა, მისი ნაწილები კარგად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ავტორი დაუფლებულია ფორმას და ზომიერების გრძნობა აქვს. კონცერტს განსაკუთრებით ოწყობს ხელს მისი ხალხურობა.

ყველა აღნიშნულ დადებით მხარესთან ერთად კონცერტს აქვს მცირეოდენი ნაკლიც. ავტორს გამოყენებული არა აქვს საფორტეპიანო ტექნიკის ყველა შესაძლებლობა. იგი ძირითადად მსხვილ-ოქტავურ ტექნიკას მიმართავს და ძალიან იშვიათად იყენებს სხვა გამომსახველობითს საშუალებებს, რაც შემსრულებელს ზღუდავს მისი ტექნიკური შესაძლებლობებისა და ინსტრუმენტის დაუფლების ჩვენებაში.

მიუხედავად ამისა, კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის ახალი ნაწარმოები —I საფორტეპიანო კონცერტი მნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა მუსიკალურ ცხოვრებაში.

**ა. მესხიშვილი**

## ჩვენ გვწერენ

# ბიბლიოთეკის მუშაობას საბილიარდო აფერხებს

საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს თბილისის ალ. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო-სამეცნიერო ბიბლიოთეკას. მის განკარგულებაშია წიგნების ფრიად მნიშვნელოვანი და მეტად მდიდარი ფონდი მეცნიერების ყველა დარგიდან. მომსახურე პერსონალი გულისხმიერად ეპყრობა მკითხველებს. ამის შედეგია, რომ ბიბლიოთეკას მკითხველთა ფართო მასა ეტანება.

მიუხედავად ამისა, ბევრი მკითხველი ბიბლიოთეკიდან უკმაყოფილო ბრუნდება. ამის მიზეზი ის არის, რომ ბიბლიოთეკას არა აქვს საკმაო მოცულობისა და კეთილმოწყობილი სამკითხველო ოთახები, რის გამო ხშირად ნახავთ ფეხზემდგომ მკითხველებს.

სამკითხველო დარბაზის სივიწროვეს ბიბლიოთეკა დიდი ხანია განიცდის. მაგრამ მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუარესდა, რაც ბიბლიოთეკის სარდაფში გახსნილ იქნა საბილიარდო.

ბიბლიოთეკასთან საბილიარდოს შეუთავსებლობა ყველასათვის ნათელია. ამის გამო არა ერთხელ დასმულა საკითხი, მაგრამ საბილიარდოს დამცველების „პოზიციის“ შერყევა მაინც ვერ მოხერხდა.

ა. ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკა თბილისის საბჭოს საუწყებო დაწესებულებაა. საბილიარდოც თბილისის საბჭოს აღმასკომის მუშაკთა დასტურით არის გახსნილი. საკითხავია, რატომ არ გაითვალისწინეს მათ, რომ საბილიარდო შეუთავსებელია ბიბლიოთეკასთან?

**გ. სურმავა**

# საჭადრაკო ეტიუდის შესახებ

1910 წელს დ. ი. ულიანოვისათვის გაგზავნილ წერილში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა: „...ა, დღეს „რეჩში“ ვნახე ეტიუდი, რომელიც უცბად ვერ გადავწყვიტე და რომელიც ძალიან მომეწონა. მდგომარეობა ასეთია: თეთრები: მფვ3, კe7, მკ1 და პაიკები: d3 და h5. შავები: მფe3 და პაიკები: h7, d5 და a2 (ე. ი. უკანასკნელს ერთი სვლა აკლია ლაზიერად გადაქცევამდე). თეთრები იწყებენ და იგებენ. ლამაზი რამ არის“[1]

რატომ მოეწონა ეს ეტიუდი ლენინს, რაში ჰპოვა მან სილამაზე? რა თავისებურება უნდა ახასიათებდეს საჭადრაკო ეტიუდს, მკაცრი შემფასებლის მაღალი გემოვნება რომ დააკმაყოფილოს?

თუ ყურადღებით შევისწავლით ზემოაღნიშნულ ეტიუდს, შეგვიძლია აღვნიშნოთ ეს თავისებურებანი:

1. ფორმის ეკონომიურობა — დაფაზე მცირე რაოდენობით არის ფიგურები და თვითეული მათგანი მონაწილეობს ბრძოლაში; თვითეული ასრულებს თავის განსაზღვრულ როლს, რაც აუცილებელია საერთო მიზნის მისაღწევად.

2. მოქმედების ჰარმონიულობა — თვითეული ფიგურის მოქმედება ორგანულად, ჰარმონიულად არის დაკავშირებული სხვა ფიგურების მოქმედებასთან.

3. საწყისი მდგომარეობის ბუნებრივობა — მდგომარეობა სავსებით სიცოცხლისუნარიანია;

4. ჩანაფიქრის ორიგინალობა — სვლებს, რომლებიც გვეჩვენება სწორ, შაბლონურ სვლებად, არ მივყავართ გამარჯვებისაკენ; მხოლოდ შაბლონისათვის გვერდის ახვევა და მოცემული მდგომარეობისადმი შემოქმედებითი მიდგომა, მოცემულ პოზიციაში არსებულ ფარულ შესაძლებლობათა შესწავლა გვაძლევს სწორ გადაწყვეტას, რომელიც გვეჩვენება მოულოდნელ, არაჩვეულებრივ, ესთეტიკურად დამაკმაყოფილებელ შემოქმედებით აღმოჩენად.

5. გადაწყვეტის სიძნელე, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო ორიგინალურია ჩანაფიქრი. ლენინმა ერთბაშად ვერ გადაწყვიტა ეტიუდი და ეს მას მოეწონა; გადაწყვეტას ძიებამ, აზრისა და ნებისყოფის მუშაობამ, რომელსაც ერთადერთი სწორი გზით გამარჯვებისაკენ მივყავართ, არ შეიძლება დიდი კმაყოფილება არ აგრძნობინოს გონებრივი სპორტის მოყვარულს.

6. დინამიკურობა, ორი ძალის ბრძოლა—შავები, გაიყვანენ რა პაიკს ლაზიერად, მატერიალურად უფრო ძლიერი ხდებიან, ვიდრე თეთრები. მიუხედავად ამისა, თეთრები მაინც იგებენ იმიტომ, რომ მათ აღმოაჩინეს მომგები იდეა, რომელიც იმალებოდა მოცემულ მდგომარეობაში. თეთრები რომ შავებზე მატერიალურად უფრო ძლიერი ყოფილიყვნენ, ან თეთრებს რომ არ ჰქონოდათ თავდაცვის საშუალება ან სვლების არჩევანი, ჩვენ არ გვექნებოდა მხატვრულობის ელემენტი. ესთეტიკურ კმაყოფილებას ის იწვევს, რომ დაძაბულ ბრძოლაში ნათელი იდეა იმარჯვებს უხეშ ძალაზე.

7. გადაწყვეტის ერთიანობა — არსებობს მხოლოდ ერთი გზა გამარჯვებისაკენ. მიუხედავად ვარიანტებისა და საპასუხო სვლების სიმრავლისა, არის გამარჯვების მხოლოდ ერთი გზა.

8. ეფექტური კომბინაცია—ეს არის მთავარი მომენტი. ეტიუდის ზემოჩამოთვლილ თავისებურებათა ერთობლიობა შეადგენს იმას, რასაც ეწოდება საჭადრაკო ეტიუდის მხატვრულობა და სილამაზე.

ეტიუდი, რომელიც მოეწონა ვ. ი. ლენინს, ეკუთვნით რუს საჭადრაკო კომპოზიტორებს ძმებს პლატოვებს. ამ ეტიუდმა პირველი ჯილდო მოიპოვა 1909 წელს გამართულ საერთაშორისო კონკურსში.

ასეთი მაღალი ტექნიკისათვის რომ მიეღწია, ეტიუდს მრავალი საუკუნის მანძილზე უნდა გაევლო განვითარების სხვადასხვა სტადია.

არსებობს ჭადრაკის მრავალი სახელმძღვანელო, დაწყებული XIII საუკუნიდან, რომლებიც შეიცავენ გათამაშებული პარტიებიდან ამოღებულ საინტერესო დაბოლოებებს, ლამაზ კომბინაციებს, ეფექტურ შამათებს. შემდგომში ამ მასალებმა ზოგიერთ მოჭადრაკეს უკარნახა საჭადრაკო დაფაზე დამოუკიდებლად შეექმნათ ისეთი მდგომარეობანი, რომლებიც ერთ-ერთ მხარეს აძლევდნენ ეფექტური მოგების საშუალებას. თეთრებისა და შავების ძალთა შეფარდება თითქმის მუდამ თანაბარი იყო, ან გამარჯვებული მხარე, პირველი შეხედვით, უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მოგებას აღწევდნენ ეფექტური შეწირვით. დავალება საეტიუდო იყო: „თეთრები იწყებენ და იგებენ“, მაგრამ რამდენადაც მიზანი მუდამ მოწინააღმდეგის მეფის დამათება იყო და არა ყაიმის მიღწევა, მას აგრეთვე ჰქონდა საამოცანო დავალება. ძველად ასეთ საჭადრაკო კომბინაციებს „მანსუბას“ უწოდებდნენ. მაგრამ ეს ძველებური ეტიუდები პრიმიტიულია.

მხატვრული ეტიუდისაკენ მობრუნების პუნქტად საბჭოთა კომპოზიტორი გერბსტმანი თვლის 1851 წელს, კლინგისა და გორვიცის ეტიუდების კოლექტიური კრებულის გამოცემის წელს. მაგრამ შეიძლება ითქვას, დიდი რუსი პრობლემისტის ა. ტროიცკის მოღვაწეობის დასაწყისამდე საეტიუდო კომპოზიციებს ჯერ კიდევ ანალიზური ხასიათი აქვთ.

ახალი პერიოდი იწყება 1895 წლიდან, როცა მოღვაწეობა დაიწყო ალექსი ალექსის-ძე ტროიცკიმ — თანამედროვე საჭადრაკო ეტიუდის ფუძემდებელმა. ტროიცკიმ გამოავლინა და შეიმუშავა საეტიუდო ჩანაფიქრთა და იდეათა დიდი უმრავლესობა; შეიმუშავა საჭადრაკო ეტიუდის დასრულებული თეორია. საეტიუდო კომპოზიცია გადააქცია ნამდვილ ხელოვნებად, მიუძღვნა რა მოჭადრაკეებს მაღალმხატვრული შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები. საბჭოთა ხელისუფლებამ ა. ტროიცკის მიაკუთვნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება და ამით ხაზი გაუსვა, რომ საჭადრაკო ეტიუდი ხელოვნების დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს.

ტროიცკი ეტიუდის არსსა და წარმოშობას ასე განსაზღვრავს: „საჭადრაკო ეტიუდი ეწოდება საჭადრაკო დაფაზე შექმნილ ისეთ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება მიგვეღო პარტიაში, სადაც ერთ-ერთ მხარეს, ჩვეულებრივად თეთრებს, წინადადება ეძლევათ პარტია დაამთავრონ თავიანთი გამარჯვებით ან იძულებითი ყაიმით. ეტიუდი შეიძლება წარმოიქმნას პრაქტიკული პარტიიდან, ან როგორც შემოქმედების პროდუქტი. უკანასკნელ შემთხვევაში ავტორმა უნდა მოგვცეს არა მარტო საერთოდ შესაძლებელი მდგომარეობა, არამედ ისეთიც, რომელიც მიიღება ჩვეულებრივი სვლებით. საეტიუდო თემები მრავალფეროვანია, მაგრამ კომბინაციების მიხედვით ისინი შეიძლება გაიყოს ორ კლასად: 1. მდგომარეობა მიღებული პარტიის შუა სტადიიდან (მიტელშპილი) და 2. პარტიის დაბოლოებანი (ენდშპილი). როგორც ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოები, ეტიუდი შეიძლება განხილულ იქნას მისი შინაარსისა და ფორმის მხრივ. ეტიუდის, როგორც მხატვრული ნაწარმოების შინაარსს წარმოადგენს მდგომარეობის ან სვლის უპირატესობის გამოყენება“.

ტროიცკისთან ერთად აღსანიშნავი არიან ლ. კუბელი და ძმები პლატოვები, რომელთა ეტიუდმა მიიპყრო ვ. ი. ლენინის ყურადღება. მათ საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე საჭადრაკო ეტიუდს და ნიადაგი შეუქმნეს მას შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის. ყველაფერმა ამან ფართო გაქანება ჰპოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

ყალიბდება ეტიუდის ახალი ტიპი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საბჭოური. მასში სრულყოფილი ფორმის ჩანაფიქრის სიღრმე შერწყმულია პრაქტიკული პარტიის დინამიკურობასთან.

საბჭოთა წამყვან ეტიუდისტთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ა. გერბსტმანი, ნ. გრიგორიევი, ვ. კოროლკოვი, გ. კასპარიანი, მ. ლიბურკინი, ვ. ჩეხოვერი და სხვები, რომელთა შემოქმედების მეტი ნაწილი წარმოადგენს საეტიუდო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნებას პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში. ეს უფრო მეტად გვავალებს რათა გავაძლიეროთ მუშაობა სპორტის ამ უაღრესად საინტერესო სახის განვითარებისა და მასში სულ უფრო მეტ მოყვარულთა ჩაბმისათვის.

**გ. ნადარეიშვილი**

[1] ეტიუდის ამოხსნა: 1. კf6 d4 2. მe2! a1ლ 3. მc1! ლa5 4.კ:d4+ პფ:d4 (ან მფd2) 5. მხ3+ და იგებენ. (ამოხსნა მოყვანილია უკომენტაროდ).

## გამოცდილების ტრიბუნა

# როგორ მოაწყეს თელეთელმა მექანიზატორებმა ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით

წლების მანძილზე კარგი მუშაობით დაწინაურდა თელეთის მტს-ი. აქ მძლავრი სატრაქტორო პარკი აქვთ, რომელსაც მაღალნაყოფიერად იყენებენ. მტს-ის დახმარებით თბილისის გარეუბნის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად მაღლდება სამუშაოთა მექანიზაციის დონე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი მიწების ათვისებას, მარცვლეული მეურნეობის აღმავლობას, პირველ რიგში ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას. მტს-ი კოლმეურნეობებში ყოველწლიურად გეგმის დიდი გადაჭარბებით ხნავს და თესავს მიწებს, წარმატებით უვლის ნათესებს, ამაღლებს მიწათმოქმედების კულტურას.

თელეთელმა მექანიზატორებმა ყველა ტრაქტორი და მისაბმელი ინვენტარი 1 იანვრისათვის შეაკეთეს, ამჟამად კი მთელი სატრაქტორო პარკი მინდვრის სამუშაოებზეა გადაყვანილი.

მექანიზატორებმა თავიანთი წარმატება უზრუნველყვეს გულმოდგინე შრომით და ტიპობრივი ტექნოლოგიის, ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდის ფართოდ დანერგვით.

როგორ მოაწყეს თელეთელმა მექანიზატორებმა ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით?

მტს-ის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ პირველ რიგში სერიოზული ყურადღება მიაქციეს რემონტისათვის საჭირო ყველა პირობის შესწავლას და მომზადებას—დააზუსტეს არსებული შესაძლებლობა, იზრუნეს სამუშაო უბნების მომზადებაზე, შენობებისა და კერძოდ სახელოსნოს თვითეული მეტრი ფართობის მაქსიმალურად და მიზანშეწონილად გამოყენებაზე, კადრების სწორად მომზადებასა და განაწილებაზე.

რემონტისათვის მზადება ჯერ კიდევ ზაფხულის თვეებში დაიწყეს. მტს-მა დამატებით მოამზადა და გადაამზადა სხვადასხვა დარგის 50 სპეციალისტი, უმთავრესად ტრაქტორისტები, მოაწყო სამჭედლო, სახარატო, საზეინკლო, ელექტროშემდუღებელი და სხვა საამქროები, დროზე შეიძინა საჭირო ახალი იარაღ-მანქანები, ხელსაწყოები, მასალები, სათადარიგო ნაწილები, დაზგები; უზრუნველყო რემონტის სამუშაოები სამრეცხაოს მოწყობით, წყლით, საწვავით, სათბობით, ფულადი სახსრებით და ტრანსპორტით. რემონტის ორგანიზაციის, გეგმის მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად შესრულების საკითხი, კერძოდ კი ტექნოლოგიური პროცესების სქემა ჯერ მექანიკოსთა საწარმოო თათბირზე განიხილეს, შემდეგ კი პარტიულ და საერთო კრებებზე. თვითეულ მუშაკს თავისი ცოდნისა და უნარის მიხედვით მიეჩინა სამუშაო, ზუსტად განისაზღვრა შესრულების ვადა, დაწესდა მტკიცე სახელმძღვანელო გრაფიკი. მექანიზატორები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გააჩაღეს შრომა მათ წინაშე დასახული ამოცანის შესრულებისათვის.

რემონტის კვანძური მეთოდისათვის სახელოსნოში მოწყობილია 19 სამუშაო ადგილი. თვითეული ადგილი უზრუნველყოფილ იქნა ხელსაწყო-იარაღებით, დაზგით, განჯინით და სხვა საშუალებით. მექანიზატორთა უმრავლესობას თავის სპეციალობაში მუშაობის 10-15 წლის სტაჟი აქვს, ამასთან დამთავრებული აქვს სკოლები და კურსები. ასეთებია, მაგალითად, ო. კენჭაძე, გ. კირილიჩენკო, ს. სარუხანოვი, ვ. ძმანაშვილი და ბევრი სხვა, რომლებსაც უყვართ თავიანთი სპეციალობა და საერთო საქმე. ამიტომ არის, რომ მექანიზატორთა 80-მდე პროცენტი სტახანოველია. მტს-მა მათ დასახმარებლად თვითეულ სამუშაო ადგილზე გამოჰყო ახალგაზრდა ტრაქტორისტები. მათ პირველად მიიღეს რემონტში მონაწილეობა და ერთდაიმავე დროს ხელი შეუწყეს გეგმების შესრულებას და თავიანთი ცოდნის დონეც აიმაღლეს.

თვითეულ სამუშაო უბანზე კვალიფიციური ოსტატისა და გამოცდილი მექანიზატორის დაყენებამ იმასაც შეუწყო ხელი, რომ აქ დამზადდა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილები, როგორიც არის ბლოკის სახურავის დამჭერი ჭანჭიკი, ღერძები, ქანჩები, სულ რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულების ნაწილი. კვანძური მეთოდით მუშაობით, ახალი ტექნოლოგიის მიხედვით რემონტის მოწყობით, რაც ერთიან პროცესს წარმოადგენს, მტს-ს საშუალება მიეცა მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოეყო მექანიზატორები (დაახლოებით 50 პროცენტით მეტი, ვიდრე წინათ), შეექმნა კვალიფიციურ სპეციალისტთა ჯგუფები მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის შესაკეთებლად. ამ საქმის ხელმძღვანელობა დაევალათ მოწინავე მექანიზატორებს ვ. გალუმოვს, პ. გონჩაროვს, ა. მახნიაშვილს, გ. ლისენკოს და სხვებს.

ტრაქტორების კვანძური მეთოდით შეკეთებისათვის მტს-მა პირველ სამუშაო ადგილზე (ეზოში) მოაწყო სამრეცხაო. აქ სამუშაოდ შ. სარუხანოვი და შ. მამულოვი შეარჩიეს, რომლებიც ადვილად ახერხებენ დღეში 2-3 ტრაქტორის ტალახისაგან გაწმენდას და გარეცხვას ისე, რომ სახელოსნოს მუშაობა არ შეაფერხონ.

მეორე სამუშაო ადგილზე (შენობაში) ტრაქტორების კვანძებად დაშლა მოაწყეს (გარდა ძრავისა, რომელსაც ჩვეულებრივად ხსნიან და ძრავების შემკეთებელ სპეციალურ ჯგუფს გადასცემენ). აქ სამუშაოდ 7 კაცი შეარჩიეს, მათ შორის ყველა ტიპის ტრაქტორის სპეციალისტი, ხელმძღვანელობა კი ი. ჯამალაშვილს დაევალა, რომელმაც ამავე დროს ერთ-ერთი კვანძის რემონტიც უზრუნველყო.

მეორე სამუშაო უბანზე ტრაქტორიდან მოხსნილ კვანძებს დეტალებად არ შლიან, არამედ გადააქვთ მესამე სამუშაო ადგილზე, სადაც კაუსტიკური სოდითა და ცხელი წყლით რეცხენ. ამ მიზნით შარშან შემოდგომაზე სპეციალური ღუმელიც მოაწყეს, რომელსაც ქვანახშირით ათბობენ. წინა წლებში მტს-ი ტრაქტორის კვანძებს ნავთში რეცხავდა, რაც ძვირი ჯდებოდა და გაუმართლებელიც იყო, ახლა კი ცხელი ტუტოვანი წყლით გარეცხვის მოწყობა აჩქარებს, აიაფებს და კიდევაც ბადვილებს საქმეს.

მესამე სამუშაო ადგილთან ანუ სამრეცხაოსთან ახლოს არის მოწყობილი მეოთხე სამუშაოც. მას ჩვეულებრივ ხარისხისათვის ბრძოლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან უბანს უწოდებენ. აქ მოწმდება საკისარები, ძრავის ცილინდრის სახურავები და სხვ. აქვე ხდება ყველა ნაწილის წუნდება გრაფიკის ზუსტი დაცვით და თვითეულ ტრაქტორზე სადეფექტო უწყისის შედგენით, რომელიც გვიჩვენებს ტრაქტორის შენახულობას, მისი დაზიანების ხარისხს. ამიტომ მუშაობის ამ უბანს გამოცდილი და დახელოვნებული სპეციალისტი, კონტროლიორ-მექანიკოსი ნ. კახელაშვილი ხელმძღვანელობს. იგი თვალყურს ადევნებს კვანძების როგორც გარეცხვას, ისე ნაწილებად დაშლას, ამასთან ამოწმებს თვითეულის ვარგისიანობას. ამ მიზნით მას წინასწარ აქვს მომარაგებული საჭირო იარაღები და ხელსაწყოები: მიკრომეტრები, ინდიკატორები, შტანგები და სხვ. აქვე გამართულია თაროები, აქვთ განჯინაც, სადაც ცალცალკე აწყობენ დანომრილ დეტალებს იმ ტრაქტორის მიხედვით, რომლიდანაც იგი მოხსნილი და აღებულია.

მეოთხე სამუშაო ადგილზე საბოლოოდ ირკვევა დეტალის ვარგისიანობა და გამოცვლის საჭიროება. აღსანიშნავია, რომ მტს-ი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დეტალების მიღებას გარეცხვიდან დასაკომპლექტებელ განყოფილებაში და მათი აღდგენის მიმდინარეობას. ამ მიზნით მთავარ მექანიკოსს გ. გოგოლიძეს დამხმარედ უბნის ორი მექანიკოსიც ჰყავს.

მეოთხე სამუშაო ადგილზე ხდება ტექნიკური კონტროლი აგრეთვე ყველა იმ დეტალისა, რომლებიც მიიღებულია სახარატო, სამჭედლო, საზეინკლო და სხვა კვანძების დამამზადებელი ადგილებიდან.

მტს-ში მუშაობის ხარისხისადმი საერთო კონტროლს ახორციელებენ დირექტორი და მთავარი მექანიკოსი. კვანძი მხოლოდ მაშინ ითვლება შეკეთებულად და ტრაქტორისათვის გამოსაყენებლად, როცა ამაზე თავის დასკვნას აძლევს მექანიკოსი-წუნმდებელი. მტს-ში წესად არის მიღებული, რომ ესა თუ ის ნაწილი ტრაქტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთდება, თუ მექანიკოსი-წუნმდებელი ზუსტი და საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ ამის შესაძლებლობაში დარწმუნდება.

სახელოსნოში ასევე მოწყობილია ის სამუშაო ადგილი, სადაც ხდება რადიატორის გულის, საწვავის ჭურჭლის, მკვებავი მილების, ჰაერსაწმენდების შეკეთება და გამოცდა, აგრეთვე საკისარების ჩამოსხმა, გაჩარხვა და სხვ. ეს მუშაობა ცალკე სპეციალურ ოთახში მიმდინარეობს.

ტექნიკურ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძრავების წესრიგზე მოყვანას, ტრაქტორისათვის მორგებას და გამოცდას. მტს-ს მარტო ძრავების შემკეთებელ საამქროში ხუთი სამუშაო ადგილი აქვს მოწყობილი. პირველზე წარმოებს ძრავის დაშლა, შეკეთება და აწყობა, აგრეთვე ფერადი ლითონის ნაწილების მორგება. აქ სამი კაცი მუშაობს. მეორე ადგილზე მიმდინარეობს ბლოკის სახურავის დაშლა, შეკეთება და აწყობა, ხოლო მესამეზე ბლოკის მთლიანი დაშლა და რემონტი, აგრეთვე ქუროს გადაბმულობის შეკეთება. ძრავების საამქროშივე ხდება დგუშების ჯგუფისა და ბარბაცების დაკომპლექტება, საკისარების მორგებაც.

მტს-მა სერიოზული ყურადღება მიაქცია ტრაქტორების საბაზისო დეტალების აღდგენას, საჭის მართვის მოწესრიგებას, ღერძის და საერთოდ სავალი ნაწილების, თუნუქის (ფრთების, სახურავის) სამუშაოებს და სხვ.

ტრაქტორების აწყობაზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე მტს-ში 4 კაცი გამოჰყვეს. მტს-ში სავალდებულო წესად მიაჩნიათ, რომ თუ ტრაქტორი ან მისი რომელიმე ნაწილი კარგად გამოცდილი, შემოწმებული და მორგებული არ არის, იგი შეკეთებულად არ ითვლება. ასევე სავალდებულოა ხვნათესვის დაწყებამდე, გამოსაცდელად შეკეთებული ტრაქტორის უგუთნოდ გატარება, შემდეგ კი სანახევროდ დატვირთვა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაყვანა სრული სიმძლავრით მუშაობაზე.

მიმდინარე წლიდან მტს-ში ისიც დაკანონებულია, რომ შეკეთებულ ტრაქტორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ელექტროგანათება ღამით მუშაობისათვის, მასზე დაცული უნდა იყოს უშიშროების ტექნიკა, აგრეთვე ჰქონდეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. თუ ყოველივე ეს ტრაქტორს არა აქვს, მას შეკეთებულად არ თვლიან და სახელოსნოდან არ გამოჰყავთ.

მტს-ის მუშაკებმა იმ მხრივაც მოგვცეს კარგი მაგალითი, რომ შეკეთებული ტრაქტორების უმეტესობა შეღებეს.

რემონტის სამუშაოებში თელეთის მტს-მა (დირექტორი გ. მორჩილაძე, პარტორგანიზაციის მდივანი გ. გიგინეიშვილი) რემონტის პერიოდში შემოიღო ყოველდღიური მოკლე საწარმოო თათბირი, რომელზეც ამხილებენ ნაკლოვანებებს და სახავენ მათი გამოსწორების ღონისძიებებს. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იხილავდა რემონტის მიმდინარეობის საკითხებს, უმალვე იღებდა საჭირო ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას, სოციალისტურ შეჯიბრებას, პირველ რიგში კომუნისტების მიერ ვალდებულებათა შესრულებას, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ამ მიზნით, როგორც წესი, მტს-ში სისტემატურად ეწყობა თათბირი. ყოველ ორ კვირაში გამოდის კედლის გაზეთი „ტრაქტორისტის ხმა“.

თელეთელმა მექანიზატორებმა რემონტის კვანძური მეთოდის შემოღებით დააჩქარეს გეგმის შესრულება, გააადვილეს დეფექტურ ნამუშევართა აღმოჩენა, მინიმუმამდე შეამცირეს წუნი, აამაღლეს თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა და მუშაობის შედეგიანობა. მტს-ი გადაიქცა ერთგვარ სკოლად მექანიზატორთა ცოდნის ამაღლების საქმეში. ამჟამადაც 16 კაცი მექანიზატორთა სკოლაში იმაღლებს კვალიფიკაციას, 15 კაცი კი ადგილობრივ სწავლობს.

თელეთელ მექანიზატორთა შესანიშნავი გამოცდილება კვანძური მეთოდით ტრაქტორების რემონტის საქმეში ფართოდ უნდა გავავრცელოთ.

**ტ. თოდრაძე**

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

საერთაშორისო თემაზე

# I. მათ აშინებთ მომავალი

იმპერიალიზმის ბანაკი მწვავე კრიზისს განიცდის. აგრესორები სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ თავიანთ სიძნელეებზე; ამერიკული რეაქციული ჟურნალი „ფორჩუნი" ახალი წლის წინა დღეებში წერდა: „ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ყველა მონაწილე ქვეყანა გაჭირვებულ მდგომარეობაშია. საფრანგეთში სწრაფად ვითარდება ინფლაცია. იტალიაში მილიონობით უმუშევარია... ინგლისი საცაა გაკოტრდება". ამერიკის ყოფილი ელჩი ინგლისში კენედი იძულებულია აღიაროს: „ჩვენ ახლა დაღუპვის პირზე ვიმყოფებით..." „ამერიკულმა პროპაგანდამ, რაზეც დიდი თანხები იხარჯება, სრული მარცხი განიცადა" — წერს ჟურნალისტი ოლსოპი.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შექმნათ იმპერიალისტებს აღმოსავლეთში: მამაცი კორეელი ხალხი გმირულ წინააღმდეგობას უწევს ამერიკელ აგრესორებს, ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეგვიპტეში, ირანში, ბირმაში... არაბეთი, — ნაღვლიანად ამბობს კენედი, — „შემობრუნდა ჩვენს წინააღმდეგ... ბირმაში, მალაიასა, ირანსა და ეგვიპტეში აჯანყებებია გაჩაღებული..."

ამერიკელ მილიარდერებსა და მილიონერებს, რომლებმაც დოლარი ფეტიშად გაიხადეს, ეგონათ, რომ იყიდნენ იმას, რაც არ იყიდება — „სხვისი ინტერესებისათვის ბრძოლის სურვილს!" ისინი მწარედ მოტყუვდნენ. მათ მხოლოდ ტიტოს, სპააკის, შუმახერის, მოკის ტიპის მოღალატეების მოსყიდვა შეძლეს. ომი არ სურთ ხალხებს! რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება მშვიდობის დამცველთა უძლეველი არმია. საბჭოთა კავშირი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდი ბურჯი, მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების განსაკუთრებული სიყვარულითა და სიმპათიით სარგებლობს. „საბჭოთა ხალხებმა, — ამბობს ინგლისელი მწერალი ჯეკ ლინდსეი. — შექმნეს ძმური კავშირი, რომელზეც მუდამ ოცნებობდა კაცობრიობა... უდიდესი ბედნიერებაა დაეხმარო ასეთ ხალხს... აქ არის მსოფლიოს იმედი".

იმპერიალისტთა ბანაკი გამოსავალს ახალი ომის გაჩაღებაში ეძებს. მეოცე საუკუნის ბარბაროსები განადგურებით ემუქრებიან მსოფლიოს ხალხებს: „ჩვენ გვაქვს იარაღი, რომელსაც მთელი ცივილიზაციის განადგურება შეუძლია", — აცხადებს ამერიკის პრეზიდენტი ტრუმენი. ახალი ომი „ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაული იქნება. ჩვენ აუარებელ ხალხს დავხოცავთ", ბანს აძლევს მას ფელდმარშალი მონტგომერი. ასეთია ისტორიისაგან განწირული, უპერსპექტივო პოლიტიკანების ბოდვა.

საკვირველი როდია, როცა საფრანგეთის ვაი-აკადემიკოსი ლუი მარლო აცხადებს: „ჩვენ გვეშინია აწმყოსი და კიდევ უფრო მეტად გვეშინია მომავლისა". მარლოს ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს დახავსებული კაპიტალიზმის „ფილოსოფიას".

კაპიტალიზმს და მის აპოლოგეტებს აშინებთ მომავალი: მომავალი მათ კარგს არაფერს უქადის. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძვლიანად შეარყია კაპიტალისტური სამყარო. პირველად შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში მშრომელთა სახელმწიფო, პირველად გაირღვა კაპიტალიზმის ფრონტი. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდი კაპიტალიზმის ახალი დამარცხებებით აღინიშნა. დიდმა ჩინელმა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და აშენებს ახალ, ბედნიერ ჩინეთს. სოციალიზმის საფუძვლებს წარმატებით აშენებენ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები...

საბჭოთა ხალხისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ცხოვრება მაგალითია კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავი მშრომელი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლისა. მშრომელი კაცობრიობა დიდი სიყვარულით უყურებს საბჭოთა კავშირს, მშვიდობის ბურჯს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს. ინდოელი მუშა თავისუფლებისა და მშვიდობისმოყვარე ყოველი ხალხის სურვილს გამოხატავს, როცა ამბობს: „მე ვისურვებდი, რომ ინდოეთში დაბადებულიყვნენ ლენინისა და სტალინის მსგავსი ადამიანები!".

ჩვენი ეპოქა კომუნიზმის ეპოქაა. კომუნიზმს ეკუთვნის მომავალი. ეს მომავალი აღაფრთოვანებს მშრომელ კაცობრიობას, მის წინაშე შიშით ძრწის კაპიტალიზმი.

# II. ბოროტმოქმედების მონოპოლისტები

ოკეანისგაღმელ განგსტერებს თავი მოაქვთ ამერიკული ცივილიზაციით, კულტურით. მათ სურთ „ცხოვრების ამერიკული წესი", რაც სინამდვილეში ყბადაღებული ჰიტლერული „ახალი წესრიგის" ნაირსახეობაა, თავს მოახვიონ სხვა ხალხებს. ამ მიზნით ისინი ახალ მსოფლიო ომს ამზადებენ.

მაქსიმ გორკი, ახასიათებდა რა ბურჟუაზიულ „კულტურასა" და „ცივილიზაციას", ამბობდა, რომ ამერიკული ცივილიზაცია ყველაზე მახინჯი ცივილიზაციაა ჩვენს პლანეტაზე: მან საოცრად გადააჭარბა ევროპული ცივილიზაციის ყველა სამარცხვინო სიმახინჯეს...

ბოროტმოქმედება ამერიკული ბურჟუაზიული „კულტურის" განუყოფელი ნაწილია, განგსტერები კი ამ „კულტურის" „გამოჩენილი, პატივცემული მოღვაწეები" არიან. ამერიკა დაფარულია ბოროტმოქმედთა ორგანიზაციების ქსელით, მათ შორის ყველაზე გავლენიანია „მკვლელთა სააქციო კომპანია". განგსტერთა მეთაურები — „მკვლელთა ტრესტის" უფროსი ანასტასია, „განგსტერთა მეფე" კოსტელო და სხვები მილიარდერები არიან, მათ ხელში, მეტად შემცირებული ცნობებით, ყოველწლიურად საშუალოდ 25 მილიარდი დოლარი ტრიალებს. ისინი დაკავშირებული არიან სახელმწიფო სამსახურში მყოფ ოფიციალურ პირებთან. ნიუ-იორკის ყოფილი მერი, ამერიკის ელჩი მექსიკაში ო დვაიერი ამბობს: „მნიშვნელობა არა აქვს იმას, პიროვნება ბანკირია, საქმიანი წრეების წარმომადგენელი თუ განგსტერი. მისი ფულის ქისა — აი რა არის მთავარი და მისაზიდველი".

ამერიკული პრესა, კინო, რადიო ბანდიტიზმის პროპაგანდას ემსახურება. კინოში უჩვენებენ სურათებს: „საჭიროა მკვლელი", „დაქირავებული მკვლელი", „მკვლელის პორტრეტი", „ქალი, რომელიც მე მოვკალი"... ახალგაზრდები ათვალიერებენ გამოფენას: „ამერიკის გამოჩენილი ბოროტმოქმედნი", ამერიკული ჟურნალი „სათამაშო" მშობლებს ურჩევს თავიანთი შვილებისათვის იყიდონ სათამაშო — „პირდაპირი მოხვედრება" ან თვითმფრინავი „ატომური ბომბებით".

ამიტომ ბუნებრივია, რომ ამერიკაში ყოველწლიურად იზრდება ბოროტმოქმედებათა რიცხვი. 1950 წელს ჩადენილ იქნა 1.790.030 სერიოზული ბოროტმოქმედება, ანუ ერთი ბოროტმოქმედება ყოველ 18 წამში. გაზეთი „ვაშინგტონ ტაიმს ჰერალდი" განაზოგადებს ვაშინგტონში ბოროტმოქმედების ფაქტებს და წერს: „რა ქალაქია ეს, სადაც ნათელ, მზიან კვირადღეს პატარა გოგონას არ შეუძლია გაისეირნოს ველოსიპედით პარკში ისე, რომ მას ყელი არ გამოჭრან... ქალს არ შეუძლია დღისით გამოვიდეს სასეირნოდ ისე, რომ არ ეშინოდეს გაუპატიურებისა ან მოკვლისა..."

ამერიკელი ბოროტმოქმედების „უკანასკნელი სიტყვაა" ე. წ. „სიცრუის საზომის" გამოგონება, რაც ყოფილი ჰიტლერელის, გერმანელი ლაბორანტისა და ამერიკელი დიპლომატის თანამშრომლობის „ნაყოფს" წარმოადგენს. „სიცრუის საზომით" აწარმოებენ ამერიკელი ოკუპანტები „დამნაშავეთა" „დაკითხვას" საბერძნეთში. იგი წარმოადგენს აპარატს, რომელიც აწარმოებს ადამიანის სხეულში ელექტროგანმუხტვას და იწვევს ელექტროშოკს. აპარატი ჰგავს „ეკლის" გვირგვინს. მას თავზე ახურავენ „დამნაშავეს", რომელიც საშინელ ტკივილებსა და ტანჯვას განიცდის...

ასეთია ამერიკელი განგსტერების „მიღწევები". მართალი იყო მწერალი დრაიზერი, როცა ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში აღნიშნავდა: „ამბობენ, ამერიკა მსოფლიოში ყველაზე წინ დგას. უეჭველია, მაგრამ რა მხრივ? ბოროტმოქმედებათა მხრივ".

ოცდაათიანი წლების შემდეგ ამერიკა ამ მხრივ კიდევ უფრო წინ წავიდა!

გ. მელაძე

# მდგომარეობა ეგვიპტეში

**ნიუ-იორკი**, 29 იანვარი (საკდესი). ამერიკის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ეგვიპტის უკანასკნელ ამბებს. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა გონსალესმა, რომელიც იმოწმებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა ცნობებს, განაცხადა, რომ ამერიკის ელჩი ეგვიპტეში კეფერი ამ უკანასკნელ დღეებში „მეტად აქტიურად" ეწეოდა „კონსულტაციას" ეგვიპტის წარმომადგენლებთან.

როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, ნაჰას-ფაშის მთავრობის გადაყენების მიზნით ვაშინგტონის „კონსულტაციას" აშკარა ზევავლენის ხასიათი ჰქონდა.

პრესა იუწყება, რომ ნაჰას-ფაშის მთავრობის გადადგომის ერთი დღის წინათ 26 იანვარს ამერიკის ელჩი კეფერი ეწვია ეგვიპტის მეფეს და წარუდგინა მემორანდუმი ეგვიპტეში „არეულობის" შეწყვეტის შესახებ. გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნელის" ცნობით, ამერიკის ელჩს უნდა განეცხადებინა, რომ „შეერთებული შტატები ამ შემთხვევაში ხუმრობას არ აპირებენ".

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირები, როგორც პრესა იუწყება, პირდაპირ ასახელებდნენ ალი მაჰერ-ფაშას ნაჰას-ფაშას მემკვიდრედ.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 29 იანვარი (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე ეწევიან თავდაცვით ბრძოლებს და განუწყვეტლივ ურტყამენ მოწინააღმდეგეს.

გუშინ სახალხო არმიის შენაერთები აღმოსავლეთის ფრონტის ყველა უბანზე გააფთრებულ საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ.

ცენტრალური და დასავლეთის ფრონტების მთელ რიგ უბნებზე სახალხო არმიის შენაერთები შეზღუდულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ და წარმატებებს მიაღწიეს.

გუშინ დასავლეთ სანაპიროზე [illegible] სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაძირეს მოწინააღმდეგის 1 საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც ცდილობდა არტილერიის ცეცხლი დაეშინა დასახლებული პუნქტებისათვის.

## მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი**, 30 იანვარი (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადმოგვცა:

დღეს შტაბის ოფიცერთა სხდომაზე ორივე მხარემ მიაღწია თანხმობას დაზავებაზე შეთანხმების პრეამბულისა და იმ პუნქტების შესახებ, რომლებიც ეხება სამხედრო სადემარკაციო ხაზსა და დემილიტარიზებულ ზონას, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი სამხედრო სადემარკაციო ხაზი და დემილიტარიზებული ზონა საბოლოოდ უნდა განისაზღვროს უშუალოდ შეთანხმების ხელმოწერის წინ.

ორივე მხარის შტაბის ოფიცერთა სხდომა იმ დეტალების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია დღის წესრიგის მე-3 პუნქტთან, და დაზავებაზე შეთანხმების შესაბამისი ნაწილების პროექტის შესამუშავებლად, გაიმართა კვირას, 27 იანვარს, დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

შტაბის ოფიცრები შეუდგნენ ცეცხლის შეწყვეტასა და დაზავებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ღონისძიებათა განხილვას.

იმ ქვეკომიტეტში, რომელიც დღის წესრიგის მე-4 პუნქტს განიხილავს, კორეისა და ჩინეთის დელეგატმა პუნქტობრივ უარყო სამხედრო ტყვეების შესახებ ღონისძიებათა დეტალები, რომლებსაც შეიცავს დაზავების შეთანხმების პროექტი, რაც მეორე მხარემ წარადგინა ორშაბათს, 28 იანვარს.

მან განაცხადა, რომ ეს დეტალები წარმოადგენენ ამერიკის 2 იანვრის წინადადების გაფართოებას და რომ ისინი ჯერ კიდევ შეიცავენ ისეთ არარეალურ და სრულიად მიუღებელ მოთხოვნებს, როგორიც არის „ერთში ერთის" საფუძველზე გაცვლა, სამოქალაქო პირთა სამხედრო ტყვეებში გაცვლა და „ნებაყოფლობითი რეპატრიაცია".

ისინი აგრეთვე შეიცავენ მოთხოვნას, რომ სამხედრო ტყვეების ბანაკები ინახულონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებმა დაზავების ჩამოგდების შემდეგ. კორეისა და ჩინეთის დელეგატმა მოაგონა სხდომას, რომ გასული წლის 24 დეკემბერს ჩვენმა სარდლებმა ნათლად განაცხადეს რიჯუეისათვის გაგზავნილ წერილში, რომ ორივე მხარის მიერ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის გასაადვილებლად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი ჯვრისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წითელი ჯვრის წარმომადგენლები დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის და მისი ძალაში შესვლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად შეადგენენ დელეგაციას, რომელიც მცირე ჯგუფებად დაიყოფა და მოივლის ორივე მხარის სამხედრო ტყვეების ბანაკებს და ხელს შეუწყობს ორივე მხარის სამხედრო ტყვეების რეპატრიაციას იმ პუნქტებში, სადაც მათ შეკრებენ გადასაცემად.

# ტუნისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

**პარიზი**, 28 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" აქვეყნებს ტუნისის კომუნისტური პარტიის განცხადებას, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენი ხალხი კვლავ იბრძოლებს, რათა განთავისუფლდეს საფრანგეთის იმპერიალიზმის უღლისაგან, რომელიც ჩაგრავს მას 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მხეცური სისხლიანი რეპრესიები ჩვენი მჩაგვრელების სისუსტის ნიშანია. ჩვენი ხალხის გაერთიანებული ბრძოლა უნდა გაძლიერდეს, რათა შევძლოთ გავათავისუფლოთ პატრიოტები საპყრობილეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

გაერთიანებული ბრძოლით ჩვენი ხალხი მოითხოვს იმათ დასჯას, ვინც ეს მკვლელობანი მოაწყო. იგი მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გაწვეულ იქნას გენერალური რეზიდენტი. თავისი ბრძოლით იგი ძლიერ დაეხმარება ჩვენი ქვეყნის მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი.

დაე ყველგან — დიდ და პატარა ქალაქებში, სოფლებში, საწარმოებში შეიქმნას ერთიანობისა და ჩვენი ხალხის კანონიერ მისწრაფებათა გამარჯვებისათვის მოქმედების კომიტეტები, ხალხისა, რომელიც ესწრაფვის ეროვნულ დამოუკიდებლობას და მშვიდობას. პარტია „ნეო-დესტურის" წევრებო, კომუნისტებო, მამაკაცებო, ქალებო და ახალგაზრდობავ, პატრიოტებო და უპარტიო ადამიანებო სოციალური წარმოშობისა თუ რასის განურჩევლად, პოლიტიკური რწმენის განურჩევლად, ტუნისის ეროვნულ ფრონტში ჩვენი გაერთიანება იმპერიალისტ მტერზე ჩვენი გამარჯვების უტყუარი საწინდარია. ბრძოლაში ამ ერთიანობით ჩვენ შევძლებთ ჩავშალოთ იმპერიალისტთა მანევრები, რომლებიც ცდილობენ კვლავ გაურკვეველი დაპირებებით მოატყუონ ჩვენი ხალხი; ჩვენ შევძლებთ მოვიპოვოთ ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობა, რაც უნდა გამოიხატოს იარაღის ძალით თავსმოხვეული პროტექტორატის ხელშეკრულების გაუქმებით, ესე იგი გენერალური რეზიდენტის რეჟიმის, სამოქალაქო კონტროლის საქმეთა გენერალური სამდივნოს და მთელი კოლონიური აპარატის გაუქმებით".

# გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ

## ხალხის გამოკითხვის მომწყობი ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი

**ბერლინი**, 29 იანვარი (საკდესი). ადნ-ის სააგენტო აქვეყნებს გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის მომწყობი ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომაზე მიღებული მანიფესტის ტექსტს.

„ძალონობით გერმანელმა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში, — ნათქვამია მანიფესტში,—1951 წელს ხალხის გამოკითხვის დროს ხმის დიდი უმრავლესობით (95 პროცენტი) აზრი გამოთქვა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ. იმ პირთა უმნიშვნელო უმცირესობის გამოკლებით, რომლებიც დაინტერესებული არიან ომით და მდიდრდებიან შეიარაღებით, გერმანელ ხალხს შეგნებული აქვს, რომ საჭიროა აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის წინააღმდეგობათა მშვიდობიანი მოწესრიგება, შეგნებული აქვს, უწინარეს ყოვლისა, რომ საჭიროა დამყარდეს გერმანელთა შორის მშვიდობიანი ურთიერთგაგება. მთელ გერმანიაში ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების მოწყობით გერმანელ ხალხს სურს შექმნას თავისუფალი, დამოუკიდებელი, მშვიდობიანი და ძლიერი სამშობლო. ყოველი გერმანელი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, სიხარულის იმედით შესცქერის ამ ეროვნული მოძრაობის ზრდას, რადგან ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეიძლება გარანტირებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხი გერმანიის ბედს საკუთარ ხელში აიღებს. მაგრამ ერისა და მშვიდობის მტრები შეშფოთებული არიან, ისინი შიშობენ, რომ იძულებული გახდებიან დაუთმონ ხალხის მისწრაფებას, სანამ მოახერხებენ განახორციელონ თავისი სამხედრო გეგმები. ამიტომ ეს მტრები ცდილობენ „საერთო ხელშეკრულებისა" და შუმანის გეგმის საშუალებით შეკვეცონ ყველა დემოკრატიული უფლება და უწინარეს ყოვლისა, თავს მოახვიონ ხალხს სამხედრო ბეგრის კანონი და ამით დააყენონ იგი მომხდარი ფაქტის წინაშე, რომელიც საბოლოოდ მოსპობს ყოველგვარი მშვიდობიანი გზის შესაძლებლობას".

„საერთო ხელშეკრულება" და დამატებითი შეთანხმებანი,—ნათქვამია შემდეგ მანიფესტში, —არასოდეს არ უნდა დამტკიცდეს!

„საერთო ხელშეკრულებას" ის მოსდევს, რომ დადასტურებულ იქნას უცხოეთის ჯარების მიერ გერმანიის განუსაზღვრელი ვადით ოკუპაცია და გადაეცეს ჩვენი ხალხის ძირითადი სუვერენული უფლებანი უცხოელ სამხედრო სარდლებს. დასავლეთ გერმანიის ბედი დაუკავშირდეს ამერიკის მსოფლიო ბატონობის აგრესიულ გეგმებს. ყოველივე ეს ახასიათებს „საერთო ხელშეკრულებას", როგორც საერთო სამხედრო ხელშეკრულებას, რომელსაც ჩვენთვის იმაზე მეტი ეროვნული დამცირება და დამოკიდებული მდგომარეობა მოაქვს, ვიდრე ვერსალის დიქტატმა მოგვიტანა. საერთო სამხედრო ხელშეკრულების მოწონება ერის ღალატს ნიშნავს, ომსა და გერმანიის დაღუპვას ნიშნავს.

შეძრწუნებითა და აღშფოთებით შეხვდა გერმანელი ხალხი იმ ცნობას, რომ ფედერალურმა პარლამენტმა, მილიონობით ადამიანის ნების წინააღმდეგ, რომლებიც მოსახლეობის ყველა ფენას წარმოადგენენ, მოიწონა შუმანის გეგმა. შუმანის გეგმის რატიფიკაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ ძირითადი კანონისა და იმ დავალებათა დარღვევის შედეგად, რომლებიც ხალხმა მისცა თავის დეპუტატებს. ამიტომ გერმანელ ხალხს ეს გადაწყვეტილება თავისთვის სავალდებულოდ არ მიაჩნია. გერმანელ ხალხს, ისევე როგორც წინათ, არა სურს დათმოს თავისი ქვანახშირი, თავისი ფოლადი და თავისი ადამიანები აგრესიული ომისათვის, რომელიც მას დაღუპვამდე მიიყვანს.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა გერმანელს და, უწინარეს ყოვლისა რურისა და საარის მუშებს: კიდევ უფრო მტკიცე პროტესტი განაცხადეთ შუმანის გეგმის წინააღმდეგ! ხელი შეუშალეთ მის განხორციელებას!

რემილიტარიზაციის გეგმით შებოჭილი ბონელი პოლიტიკოსები ვერასოდეს ვერ შეძლებენ, რომ გერმანიის გათიშვის დაძლევისა და საზავო ხელშეკრულების დადების საშუალებით მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე დააყენონ ჩვენი ხალხი. მრავალი თვის გაჭიანურების შემდეგ ბონში ახლა ოფიციალურად გამოცხადდა საარჩევნო კანონის პროექტის გაუქმება. მაშასადამე, ერთადერთი, რაც ბონელმა პოლიტიკოსებმა გააკეთეს, სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის საკითხში, იმით ამოიწურება, რომ ეს საქმე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გერმანელებს ეხება, ამერიკელთა ხელმძღვანელობისადმი დაქვემდებარებულ უცხოელ კონტროლიორებს გადაეცათ.

ამის საწინააღმდეგოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ დასახა ნამდვილად მისაღები გზა. მან წარმოადგინა ვაიმარის რესპუბლიკის საარჩევნო კანონის საფუძველზე შემუშავებული საარჩევნო კანონის პროექტი სრულიად გერმანიის თათბირზე განსახილველად. იგი იცავს ერის ღირსებას, უარყოფს უცხოეთის კონტროლს და მოითხოვს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის წარმომადგენელთაგან კომისიის შედგენის საშუალებით გამორკვეულ იქნას გერმანიის ყველა ნაწილში თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესაძლებლობა. გერმანელი ხალხი ხელიდან არ გაუშვებს მშვიდობიანი გაერთიანების ამრიგად შექმნილ რეალურ შესაძლებლობას. იგი არ დაუშვებს, რომ ეს შესაძლებლობა მოსპობილ იქნას ომის გეგმების, „საერთო ხელშეკრულების", შუმანის გეგმის განხორციელებისა და სამხედრო ბეგრის კანონის შემოღების გზით.

რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლის კომიტეტები უკვე დღესაც განასახიერებენ ჩვენი ხალხის მისწრაფებას ერთიანობისა და თავისუფლებისადმი, დემოკრატიისა და მშვიდობისადმი. ამიტომ ყოველი გერმანელი პატრიოტი ხელს უწყობს კომიტეტების გაფართოებას, გაძლიერებასა და განმტკიცებას.

გერმანელო მამაკაცებო და ქალებო! გერმანელო ახალგაზრდობავ!

განუმარტეთ გერმანელი მოსახლეობის ყველა ფენას, და უწინარეს ყოვლისა გერმანელ ახალგაზრდობას, თუ რატომ გამოიწვევს ომს სამხედრო ბეგრის კანონი. განამტკიცეთ და გააფართოეთ შუმანის გეგმის, „საერთო ხელშეკრულებისა" და სამხედრო ბეგრის კანონის საწინააღმდეგო და საპროტესტო მოძრაობა.

იბრძოლეთ სამხედრო მზადების წინააღმდეგ, გაფიცვებიც კი გამოაცხადეთ და დემონსტრაციები მოაწყეთ!

მოითხოვეთ ადენაუერის გადაყენება!

განიხილეთ ყველგან სახალხო პალატის საარჩევნო კანონის პროექტი და განუწყვეტლივ მოითხოვეთ სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევა თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხზე!

მოაწყეთ მიტინგები, რომლებზეც უნდა გამოვიდნენ ყველა სპეციალობის, მსოფლმხედველობის ადამიანები პარტიული კუთვნილების მიუხედავად!

დაეხმარეთ ახალგაზრდობას მის ბრძოლაში სამხედრო ბეგრის კანონისა და გაწვევით გამოცხადების შესახებ ბრძანების წინააღმდეგ!..

საწარმოო საბჭოები, მუშათა კოლექტივების გადაწყვეტილების თანახმად, უკვე ახლა კისრულობენ ვალდებულებას, რომ ყველა ახალგაზრდა მუშა დარჩება საწარმოში და რომ ისინი ნაკუწებად აქცევენ და დაწვავენ უწყებებს სამხედრო სამსახურში გამოცხადების შესახებ".

მანიფესტი მთავრდება სიტყვებით:

„გერმანელებო, გაერთიანდით! განდევნეთ ომის აჩრდილი! მოითხოვეთ სრულიად გერმანიის თათბირის მოწყობა! საარჩევნო კანონი სამხედრო ბეგრის კანონის ნაცვლად! იხსენით ერი!

გაუმარჯოს მშვიდობას! გაუმარჯოს გერმანიას!".

# საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია ინდოეთში

**ბომბეი**, 29 იანვარი (საკდესი). 27 იანვარს დილით ინდოეთის ერთ-ერთმა კინოასოციაციამ დარბაზობა მოაწყო ბომბეიში საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე დელეგაციების პატივსაცემად. დარბაზში საბჭოთა დელეგაციის გამოჩენას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობის შემდეგ აჩვენეს საბჭოთა ფერადი დოკუმენტალური ფილმის „ალტაიზე" და ჩინური ფილმის „ჩინეთის ეროვნებათა დიადი ერთიანობა" ნაწყვეტები.

დღისით გაიმართა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების მიერ საბჭოთა კინომსახიობების პატივსაცემად მოწყობილი დარბაზობა. დარბაზობის თავმჯდომარე დოქტორი ბალიგა და საბჭოთა დელეგაციის მეთაური ტ. სემიონოვი მეგობრულად მიესალმნენ ერთმანეთს. საბჭოთა სტუმრებს აჩვენეს საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების წრეების მხატვრული თვითმოქმედება. შესრულებულ იქნა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი, მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლისადმი მიძღვნილი, ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებლების მამხილებელი სიმღერები. შეხვედრის მონაწილეებმა შეასრულეს ინდოეთის ეროვნული ჰიმნი და რუსულ ენაზე—საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

# ა. ჩარგეიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ კორნელის-ძე ჩარგეიშვილი დამტკიცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხში.

ა. ჩარგეიშვილის სადოქტორო შრომა „აფეთქებითი ტალღის მოქმედების მექანიზმისათვის სმენის ორგანოსა და ვესტიბულურ აპარატზე" განიხილავს მთელ რიგ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს ადამიანის ყურის ჰაეროვანი კონტუზიით გამოწვეულ დაზიანებათა გამოკვლევისა და მკურნალობის დარგში.

# „მშვიდობის ფრონტი"

ამ სახელწოდებით მოსკოვში გამოვიდა პოეტურ, პროზაულ და პუბლიცისტური ნაწარმოებთა კრებული, რომელშიც გამოჩენილ საბჭოთა მწერლებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საუკეთესო პროგრესული ლიტერატორები.

წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „ბელადი", „მსოფლიო ხალხებს მშვიდობა უნდათ", „დოლარის ტყვეობაში", „სოციალიზმის გზით", „ძლიერთა მშვიდობისმოყვარეობა".

წიგნში სხვა ნაწარმოებებთან ერთად მოთავსებულია ქართველი პოეტების რევაზ მარგიანისა და ხუტა ბერულავას ლექსები.

სასამართლო

# ქურდებს—ღირსეული სასჯელი

არტელ „წითელი აბაშის" საწყობზე რამდენჯერმე გაქურდეს. სხვა საქონელთან ერთად 90 კილოგრამი ქსოვილის სადებავიც მოიპარეს. მიღებული ზომების შედეგად ქურდები მალე აღმოაჩინეს. ისინი აღმოჩნდნენ გაბო ბენსიონის-ძე მიხელაშვილი, ისაკ იაკობის-ძე ნანიკაშვილი და ბენსიონ შელის-ძე ხუბულაშვილი.

ბოროტმოქმედთა საქმე ამას წინათ გაარჩია აბაშის რაიონის სახალხო სასამართლომ ამხ. მ. გაბელაიას თავმჯდომარეობით. სასამართლომ გ. მიხელაშვილს და ი. ნანიკაშვილს მიუსაჯა 8 წლით პატიმრობა შრომაგასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, ბ. ხუბულაშვილს—5 წლით შრომაგასწორების ბანაკში პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს განაჩენი ი. ნანიკაშვილისა და გ. მიხელაშვილის მიმართ ძალაში დატოვა, ხოლო ბ. ხუბულაშვილის მიმართ საქმე გადასცა პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — ზამთარი კოლმეურნეობებში.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივისადმი.

ტყიბულელი მეშახტეების წერილი საქართველოს ქვანახშირის რაიონების მეშახტეებისადმი.

საბჭოთა კავშირში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

**მეორე გვერდი** — პარტიული ცხოვრება — კედლის გაზეთი და სოციალისტური საკუთრება. მ. მაზანაშვილი — სიტყვა და საქმე. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი.

ი. რუხაძე — ნაზიმ ჰიქმეთი და მისი პოეზია.

კოლმეურნე მეთხილამურეების შეჯიბრება.

მოსკოვმა უკანასკნელად გააცილა მარშალი ჩოიბალსანი.

**მესამე გვერდი** — მ. დავითაშვილი — მნიშვნელოვანი ამოცანის მიღმა.

პატარა ფელეტონი — ფ. თაური — მხილებანი.

უცხოეთის ინფორმაციები.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის მოგებათა მე-7 ტირაჟის ოფიციალური ცხრილი.

რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**1 თებერვალს**

6.25 — კონცერტი კამალდინოვის და ტულიკოვის ნაწარმოებებიდან. 7.30 — შ. მშველიძის და რ. გაბიჩვაძის საგუნდო ნაწარმოებები. 10.30 — ნაწყვეტი ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან: „გლახის ნაამბობი". 11.10 — კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. 17.15 — ნაწყვეტები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.15 — რუს კომპოზიტორთა ვალსები. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.30 — ქალაქის ქსელით—არიები ქართული ოპერებიდან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ე. ეპიტაშვილის შესრულებით, რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლ. გრძელიშვილის შესრულებით. 21.00 — კონსულტაცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად—ისტორიული მატერიალიზმი—მეცნიერული თეორია საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. 21.50—ნაწყვეტები გლაზუნოვის ბალეტიდან — „რაიმონდა". 22.30 — ლიტერატურული გადაცემა. 22.50 — ქართული ხალხური სიმღერები. 00.05—საოპერეტო მუსიკის კონცერტი.

მოქალაქე **ევგენია ნიკოლოზის ასულმა მირაქოვამ**, მცხოვრებმა ლენინის ქ. № 23, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **იოსებ გიორგის-ძე მირაქოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

# დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „ისანი"** — სიცოცხლე იმარჯვებს; **„ოქტომბერი", „სპარტაკი", 26 კომისრის სახელობის** — აფეთქება ღამით; **„თბილისი", „კომკავშირელი"**—საჰაერო მეეტლე; **„კოლხიდა"** — თოვლის ფანტაზია; **„კოლმეურნე"** — პეტერი; **„დიდუბე"** — მასამართი უცნობია.

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — გორდა (მე-11 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — ხევისბერი გოჩა; **მარჯანიშვილის სახელობის** — რომეო და ჯულიეტა; **გრიბოედოვის სახელობის** — ვასა ჟელეზნოვა; **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები (მე-15 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უეცარი სიმდიდრე (27-ე აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — სიმწიფის მოწმობა (7½ ს.); **სანკულტურის** — საპატიო სტუმარი; **ფილარმონია** — სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, — ო. დიმიტრიადის დირიჟორობით, მონაწილეობს დ. შაფრანი (რუსთაველის საკონცერტო დარბაზი); **ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

თბილისის ვაკის მე-15 საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ ჭინჭარაძის** გარდაცვალებას.

აკადემიკოს ა. ს. ალადაშვილის სახელობის ქალაქის მეორე კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების და მასთან გაერთიანებული მე-9 და მე-17 პოლიკლინიკის ექიმები იუწყებიან **გრიგოლ ყაიხარის-ძე გორდელაძის** გარდაცვალებას.

ბავშვთა I საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმები იუწყებიან **ნატალია სიმონის ასულ ჭეიშვილის** გარდაცვალებას.

შვილი ნინო ბახტაძე, სიძე სერგო მაჭარაძე, და ვარდო რატიანი იუწყებიან, რომ 3-II, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ელისაბედ ქაიხოსროს ასულ გახოკიძე-ბახტაძის** პანაშვიდი.

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები გივი, მიხეილ და ნ. ვ. არუთინოვა იუწყებიან **ეკატერინე ვასილის ასულ ტყემალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-I, 1, 2-II, 8 ს. გამოსვენება 3-II, 2 ს. ლენინის, 26

შვილი ნინო, შვილიშვილები ელენე და სერგო ქარცივაძეები იუწყებიან **ასპირო გაბრიელის ასულ გეგიაძე-ჯინჭარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-I, 8 ს. გამოსვენება 1-II, 2 ს. ძნელაძის, 23.

შვილები ნუნუ, ქეთო, შოთა, რძლები შუშანა, ნინო ჭეიშვილები, სიძეები ა. მაყაშვილი, ა. ჭეიშვილი შვილებით, ძმისწული მ. ნოდია ოჯახით, დისწულები მარიამ, ვარია, ქეთევან მამინოშვილები იუწყებიან **ნატალია სიმონის ასულ ჭეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-I, 1-II, 8 ს. გამოსვენება 2-II, 4 ს. გაბაშვილის შესახვევი, 3 (შესასვლელი მოსკოვის ქუჩიდან).

ქალთა 34-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან **სოფიო გიორგის ასულ ედილაშვილის** გარდაცვალებას.

სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრა და თბილისის ექიმ-ექსპერტთა კომისია იუწყებიან **ელიფთარ ტარიელის ასულ ციხისელის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00125